

საქართველოს ისტორიის
მუზეუმი

მუზეუმი
დაცვის მინისტრი

საგანძურო

ოთარ არაშიძე




უკანასკნელი
თეოდორალები

3
60
ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და დაცვის
პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი სისხლის მუზეუმი

ოთარ ჯანელიძე

უკინესებულობა თეოდორ გრიფი



გამომცემლობა „ენცენსალი“
თბილისი 2010

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის მიერ ინიცირებული საისტორიო ბროშურების სერია მიზნად ისახავს კიდევ ერთხელ შეასხენოს საქართველოს საზოგადოებას თუ „გისი გორისა ვართ“, რომ ჩვენი დიდი წინაპრების მიერ ღირსეულად გავლილი ცხოვრებისეული გზა – მუხლისაუხრელი შრომა, გმირული ბრძოლა, შინაარსიანი ყოფა, უნიკალური ხალხური შემოქმედება – ქართული სიმღერის მრავალხმიანობა, გამორჩეული ქორეოგრაფია, მონუმენტური ხელოვნება ძლიერი საფუძველია ჩვენი ქავების ხვალინდელი აღორძინების...

გვჯერა, რომ „კიდევაც დაიზრდებიან აღვეთს ლექვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან – ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“...

საგამომცემლო ჯგუფი: აკად. დ. მუსხელიშვილი (ხელმძღვანელი), აკად. შ/კ ლ. მელიქიშვილი, პროფ. ნ. ხაზარაძე, პროფ. გ. სამსონაძე, ისტ. მეცნ. ლოქტორები ნ. ჯავახაძე, ად. დაუშვილი.

რედაქტორი: პროფ. ზაზა აბზიანიძე

ბროშურის გარეკანი და დიზაინი: მედვა მაზანიშვილისა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილისა

ნაშრომში გამოყენებულია ინტერნეტ-პორტალის „ბურუხი“
 (ავტორი თ. ვერულავა) ფოტო დოკუმენტები

© ი. ჯანელიძე, 2010

გამომცემლობა კანონისალი, 2010

თბილისი, 0179, გ. ვაკევის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-147-5



საქართველოს ეროვნული
 მეცნიერებების
 მინისტრი



... ერს მოწერე დაძლონ, გათხოვილება, გამყიურება
 უწინდ დაზურება, როგორ უც თავისს ისელონის უპურებს,
 როგორ მას სხვანა უმოგება თავისს ნახსენელს, თავის
 ყოფილს უხელების, დაზურება ისელონის, თავისს
 ნახსენელს და ყოფილს უხელების აღმარხებას სხვონისაზე
 მიმისინურებელი ერს სულიო და ხორები ძალის,
 დარღვეულის და მიღად ნატყედისზე.

75 — 76

პროლოგი

თერგდალეულები XIX საუკუნის 60-იანი წლების იმ ქართველ მოღვაწეთა თაობის კრებსითი სახელია, რომლის ბირთვებ იღია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე შეადგენდნენ. ამ იდეურ მიმდინარეობას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართული სიტყვაძაზმული მწერლობის, კულტურისა თუ ხელოვნების აღმავლობაში, მანვე წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის, ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა არაერთ მხარეს, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ოღონდ ეგაა, თერგდალეულთა თითქმის მთელი თაობა ისე გადაეცო, რომ საკუთარი ძალისხმევის მთავარ შედეგს – სამშობლოს ეროვნულ თავისუფლებას ვერ მოესწრო. სამოციანებლთა სახელოვანი პლეადიდან საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენის ფას – 1918 წლის 26 მაისისათვის ცოცხალი მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე იყვნენ. ეს უკანასკნელი 1919 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა. თერგდალეულთა უკანასკნელი მოაიკანი ნიკო ნიკოლაძე იყო.

ნიკო ნიკოლაძეს მივიწყებული ნამდვილად არ ეთქმის. მასზე ბევრი დაწერილა და დღესაც იწერება, გადაღებულია დოკუმენტური ფილმები, გამოცემულია და კვლავ გამოდის მისი ნაწერები. ნიკოლაძის სახელი მიკუთვნებული აქვს საქართველოს არაერთი ქალაქის ქუჩას, თბილისა და ლიდი ჯიხაიშვილი არსებობს მისი სახლ-მუზეუმები, ფოთში მონუმენტური ძეგლიც აუგეს და სხვა, მაგრამ რამდენად იცნობს თანამედროვე თაობა ამ დიდ ერისკაცს, რა სმენია და გაუგია მის შესახებ? ამ საკითხზე საგანგებო კვლევა არავის ჩაუტარებით, ხოლო თუ გავითვალისწინებოთ ჩვენს ახალგაზრდობაში ბოლო დროს ავად მომძლავრებულ ნაპოლიზმს და ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც ჩავხდავთ, პასუხი დამაიმედებული ვერ იქნება.

ნიკო ნიკოლაძე რომ პოეტი ყოფილიყო, ბევრს მისი შემოქმედება თუ არა, ზოგიერთი დექსის სტრიქონი მაინც

ეხსომებოდა და ავტორის ვინაობაც უფრო ეცოდნებოდა. სამწუხაროდ, ნიკოს პოეტური მემკვიდრეობა არ ჰქონდა მართალია, საქუთარ სამშობლოს, სხვა დანარჩენ ზერგდა-ლეულთა მსგავსად, ისიც ძირითადად კალმით ემსახურებოდა, მაგრამ არა პოეტურ, არამედ პუბლიცისტურ ასპარეზე. ამასთან, ჩვენი გმირი ფართოდ იყო ჩაბმული საქვეყნო პრაქტიკულ საქმიანობაშიც, რითაც იმ დროის ბეჭ-რი ბევრი სახოგადო მოღვაწე კურ დაიკვენიდა.

ვისაც ერთხელ მაინც თვალი გადაუკლია ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის და მისი მოღვაწეობის მას-შტაბი თუნდაც ზერელედ გაუსიგრძეგანებია, შეამჩნევდა, რომ ამ კაცის თავგადასავალი ნაკლებად წააგავს თავისი თანამედროვე ქართველის ტიპურ ცხოვრებას. შემთხვევით არ უწოდებიათ მისთვის „დროს გასწრებული მამულიშვილი“. ნიკო ნიკოლაძემ თავის ეპოქას არა მხოლოდ გონი-ბითა და აზრით, არამედ საქმითაც გაუსწრო და ისტორი-აში „ულმობელი საქმის ქაცის“ სახელიც დაიმკვიდრა.

სტუდენტობა

ნიკო ნიკოლაძე 1843 წლის 27 სექტემბერს ქ. ქუთა-ისში დაიბადა. დედა – ელისაბედ ლორთქიფანიძე აზნა-ურთა სოციალურ წრეს მიეკუთვნებოდა, ხოლო მამა – იაკობ ნიკოლაძე შეძლებული ვაჭარი იყო, რომელიც თა-ვისი ქაპიტალის ნაწილს სამშენებლო საქმესაც ახმარდა და სარფიან მოიჯარადრობას ეწეოდა. მომავალი ერისკა-ცი იმ დროს მოვალინა საწუთოს, როცა ქართველთაგან წინათ უმიზეზოდ ათვალწუნებული ვაჭრის პროფესია უძ-ვე ერთობ მოღვარ და შემოსავლიან საქმიანობად გამხდა-რიყო. ამიტომაც იყო, რომ ქუთაისსა და ფოთში კომერ-ციული დუქნების მფლობელი მამა ერთადერთი ვაჟის თა-ვის კვალზე აღზრდას გეგმავდა.

იაკობს საფუძვლიანი განათლება არ მიუდია, „ქარ-თული წერა-ქოთხვისა და ანგარიშის მეტი არა იცოდა-რა“, მაგრამ სწავლის ფასი მასაც და მის მეუღლესაც ქარგად გაეგებოდათ. ოჯახში თბილისიდან კულა ახლად



გამოსული წიგნი მოგვდიოდა, მიღებისთანავე დედაშემი მათ თავიდან ბოლომდი გადაგვიძულბულებდა, დიდშა და პატარას, ქმარ-შვილს და მოსამსახურეს, — იგონებდნი ნიკო ნიკოლაძე. თვითონ ნიკო წიგნის კითხვა ბავშვობიდანეე უყვარდა და გიმნაზიის პერიოდში რაც კი რამ წიგნი ჰქონდა ვისმე ქუთაისში, რაც კი რამ უურნალი მოდიოდა ამ ქალაქში, ქართული თუ რუსული, სულ გადაკითხული ჰქონია. გაკვეთილებზე მეტ დროს მხატვრულ ლიტერატურას და უურნალ-გაზეთებს უთმობდა, თუმცა სწავლა ურიგოდ არ დაუმთავრებია.

აკადემიურ ცოდნას მოკლებულ კომერსანტ იაკობ ნიკოლაძეს უმაღლესი განათლების შესაძენად შვილების რუსეთსა თუ ევროპაში გადახვეწა დიდად არ ხიბლავდა. ამიტომაც იყო, რომ ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასიდან ნიკო ლათინურის გაკვეთილების ნაცვლად ისეთი საგნები აარჩევინა, რომლებიც, მისი აზრით, ცხოვრებაში უფრო საჭირო და გამოსადგევი იქნებოდა. ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, „მამაჩემი საიჯარადრო მშენებლობის საქმეში თავის თანაშემწედ მამზადებდა, იგი ხაზინისთვის ყაზარმებს აგებდა, მოსაზღვრე სადარაჯოებს, საწავლებლებსა და — მისთვის ერთგული, განსწავლული ხელქვეითი იყო საჭირო“.

ვინ იცის, იქნებ მამას თავისი გაეტანა კიდეც, რომ არა ბედნიერი შემთხვევა: მეოცნებე ჭაბუკის ბედის განსაზღვრაში ერთდროულად ორი თვალსაჩინო პიროვნება ჩაერია. პირველი ქუთაისის განერალ-გუბერნატორი გიორგი ერისთავი იყო, ხოლო მეორე — ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც იმ ხანად ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში სამსახურს გიორგი ერისთავის შვილის შინა მასწავლებლობას უთავსებდა. გუბერნატორი იაკობ ნიკოლაძის ოჯახს კარგად იცნობდა, დიმიტრი ბაქრაძეს კი ნიკო ნიკოლაძის ვინაობა ამ უკანასკნელის მიერ უურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი სტატიუბით გაუგია. დიდმოხელისა და მეცნიერის შუამდგომლობამ გახჭრა და იაკიბმა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკო სანქტ-პეტერბურგში გამგზავრების ნება დართო



იქაურ უნივერსიტეტში შესახვლელად. ქართველი ჭაბუკი /
შორეული ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას გაუყვა; ცალკეული
შესახვლების გაზირებული რესერვი დიდი ცვლი-

ლებების მოლოდინშია. სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყ-
ნდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მანიფესტი ბატონიქო-
ბის გაუქმებისა და გლეხთა განთავისუფლების შესახებ.
რეფორმით, რომელიც საიმპერიო ხელისუფლებამ დრო-
მოგმული ფეოდალურ-ბატონქმური სისტემის კრიზისიდან
თავდასაღწევად გაატარა, გლეხი ყმობისაგან განთავისუფ-
ლდა, იგი იურიდიულად თავისუფალი გახდა, თუმცა მიწა
კვლავ ძევლი მეპატრონის საკუთრებად რჩებოდა. მიუხედა-
ვად ამისა, დაწყებული გარდაქმნა მნიშვნელოვანი მოვლე-
ნა იყო რესერტის შიდა ცხოვრებაში, რომელმაც ფართო
გამოხმაურება და საზოგადოებრივი რეზონანსი პოვა. ოდ-
ნავ მოგვიანებით, მასზე თავის აზრს ნიკო ნიკოლაძეც გა-
მოქვამს და რეფორმას “მძარცველობის და ყაჩაღობის,
სიყალბისა და დანაშაულის დაკანონებას” უწოდებს. ახლა
კი, პეტერბურგში ჩასულ ახალგაზრდა ქართველს იმპერი-
ის დედაქალაქი ამ სიახლის შთაბეჭდილებით აღსავსე
დახვდა. გაიკლის რამდენიმე თვე და თვით ნიკო ნიკოლა-
ძის მონაწილეობით მოხდება სხვა, რუსეთისათვის მანმადგ
უჩვეულო მოვლენა, რომელიც დროებით გადაფარავს კო-
დეც საბატოტონქმო რეფორმის ექოს.

მანამადე კი ნიკო საუნივერსიტეტო გამოცდებისათ-
ვის უნდა მოეგზადოს. ჩასაბარებელი ხუთი საგანი აქებს,
მაგრამ მთავარ პრობლემას ლათინური ენა ქმნის, რომე-
ლიც გიმნაზიაში არ უსწავლია და აუცილებელია მოკლე
დროში აითვისოს. თვითონვე წერს, პეტროვის პარქის
ტბასა და მდინარე ნეკაზე ნავით სეირნობა მერჩია ლათი-
ნურის ზუთხვასო, მაგრამ უმაღლესში ლათინურის გარე-
შე არავინ მიიღებდა, ამიტომ მასში საგანგებოდ მეცადი-
ნეობდა, თუმცა არც სხვა წიგნების კითხვა მიუტოვებია. ამის გამო პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტები-
საგან ხშირად იღებდა შენიშვნას, „დროს ნუ კარგავ,
უროკები ისწავლე, თორემ ეგზამენებს ვერ დაიჭერო“.

მართლაც, უნივერსიტეტში იყვნენ ახალგაზრდები,
რომელთაც ვიწრო, მერკანტილური ინტერესები ამოძრა-

ვებლათ და იყო უფრო მცირებიცხოვანი წრე ქართველებისა
სტუდენტებისა (მათ შეუერთდა ნიკო ნიკოლაძეც), რომ
მელთა ყოველდღიური განსჯის საგანი, ყოველდღიური
შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა აწევთ კისერ-
ზე ხალხისადმი, რა სახითაა უმჯობესი მომზადება ამ
მოვალეობის ასახრულებლად და სხვ.



სახურავებურგის უნივერსიტეტი

ნიკომ ჩააბარა მისაღები გამოცდები, ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე და სტუდენტის კოქარდიანი ქუდიც შეიძინა, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდა.

დადგა ნანატრი სექტემბერი და უნივერსიტეტიც შეუდგა მუშაობას. ნიკომ სიხარულით დაიწყო ლექციებზე სიარული. რამდენიმე საგანს უკითხავდნენ, მაგრამ გამორჩევით ისტორიის პროფესორების ნ. კოსტომაროვისა და მ. სტასიულევიჩის, ასევე სისხლის სამართლის სპეციალისტის ვ. საასოვიჩის ლექციებით მოიხიბლა. მათი საუბარი სტუდენტებში აღტაცებას იწვევდა: ვცდილობდით სიტყვა არ გამოგვპაროდა და ყველაფერი ჩაგვეწერათ,



იგონებდა ნიკო ნიკოლაძე. სამწუხაროდ, დიდხანხა
დასცალდა ეს სიამოვნება.

შეფის მთავრობა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ
მდელვარების საშიშ კერად მიიჩნევდა და მათზე პოლიცი-
ის მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. საქმე ის იყო
რომ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სტუდენთა მოძრა-
ობამ რუსეთში ფართო გაქანება პოვა და მასიმილივი ხა-
სიათი შეიძინა. ყირიმის ომის (1853-1856 წ.წ.) შემდგებ ქავშა-
ნაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, უქმაყოფილების ხა-
ერთო განწყობილებამ უნივერსიტეტის კვდლებშიც შე-
აღწია და იქაც ოპოზიციური ატმოსფერო გააძატონა. სტუ-
დებიტობა ხმას იმაღლებდა არა მარტო სასწავლებლებში
დამკიდრებული ბიუროკრატიული რეჟიმის შესაცვლჭ-
რად, არამედ იღა მერქანტებდა იმ პოლიტიკური თვითნებობის
წინააღმდეგაც, რომელიც იმპერიაში მძვინვარებდა.

აშეარა პოლიტიკური საფუძველი გააჩნდა და თვით-
მკურობელობის ღესაბოტიის წინააღმდეგ იყო მიმართული
პეტერბურგის უნივერსიტეტში დაწყებული მდგლვარებაც 1861 წლის შემოდგომაზე. სტუდენტ-ახალგაზრდობაში გავ-
რცელდა პოეტ მ. მიხაილოვისა და ნ. შელგუნოვის მიერ
დაწერილი პროკლამაცია „ახალგაზრდა თაობას“, რომე-
ლიც შეკავშირებისა და დაუმორჩილებლობისაკენ მოუწო-
დებდა. სტუდენტებმა პროკლამაცია უნივერსიტეტის სააქ-
ტო დარბაზში საგანგებოდ გამართულ შეკრებაზე წაიკით-
ხეს და მისი პათოსი აღფრთოვანებით გაიზიარეს. მოწო-
დებამ მართლაც მაორგანიზებელი როლი შესარულა, უნი-
ვერსიტეტში მძლავრი საპროტესტო ტალღა აზვირდა,
მით უფრო, რომ გავრცელდა ხმები პროკლამაციის ურთ-
ერთი აეტორის მ. მიხაილოვის დაპატიმრების თაობაზე.

რამდენიმე ათასი სტუდენტი, რომელთა შორის
ათამდე ქართველი ახალგაზრდა – ნიკო და ბესარიონ
ლოდობერიძები, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლა-
ძე, დავით აბდუშელიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი და
სხვებიც ერია, ქუჩაში გამოვიდა და დემონსტრაცია მოაწ-
ყო. სტუდენტებს შესარდაჭერა გამოუცხადა დედაქალაქის
მოსახლეობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. თა-
ნამგრძნობთა შორის მრავლად იყვნენ გოგონები და

ახალგაზრდა ქალები. იმ ხანად იმპერიუმი ალექსანდრე II საქართველოში იმყოფებოდა. სანამ მას პეტერბურგში არ უდობის ამბავს შეატყობინებდნენ და ხელმწიფისაგან განკარგულება მოვიდოდა, ორ კვირაზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ხან უნივერსიტეტის ეზოში, ხანაც მიმდებარე ქუჩებში განუწყვეტლივ იმართებოდა სტუდენტთა ძღველვარე შექრებები. მთავრობამ უნივერსიტეტის დროებით დახურვისა და მეამბოხე სტუდენტთა დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღო.

1861 წლის 13 ოქტომბერს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა კიდევ ერთ მიზინგზე შეიქრიბა, მოულოდნელად გამოჩნდა ჯარი, რომელმაც შეკრძილი ახალგაზრდები ალყაში მოაქცია და უნივერსიტეტის ეზოში შერეკა. პროტესტის სტუდენტები დააპატიმრეს, სპეციალურ სიებში ჩაწერეს და ჯარისა და პოლიციის თანხლებით ციხისკენ წაიყვანეს. ეს ამბავი სწრაფად გახმაურდა. ამხანაგების სოლიდარობის ნიშანად, მოკლე დროში უნივერსიტეტთან თავი მოიყარა რამდენიმე ასეულმა სტუდენტმა. ისინი ეგბერნენ გვარდიელებსა და პოლიციულებს, გაარღვიეს მათი კორდონი და შეუერთდნენ დაპატიმრებულთ, რათა გაეზიარებინათ უდანაშაულო თანატოლთა ხვედრი. ამას კანონდამცველთა მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მათ ხმლების, მათრახებისა და დამბახების გამოყენებით დაარბიეს ახალგაზრდები, მომხდეურნი გაფანტეს, დატუსალებულ სტუდენტებს ბეჭრი სხვაც მიუმატეს და ყველანი პეტრე-პავლეს სიმაგრეში გამოამწყვდიეს. 240-მა დაპატიმრებულმა, რომელთა შორის ნიკოლაძეც იყო, ერთი კვირა ამ ციხის კაზემატებში გაატარა, შემდეგ ისინი სამხედრო გემით კრონშტადტში გადაიყვანეს და ამჯერად ბინა ყაზარმებში მიუჩინეს.


სტუდენტთა ამ „მხელელობას“ კრონშტადტის მახლობლად საგანგებოდ მორთული ქალების გრძელი მწერივი დახვდა. ქალები თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდებისადმი თანაგრძნობის გამოსახატად მოსულიფვნენ და პატიმრებს ყვავილებს ესროლნენ.

პატიმრობა, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ბაბილონის ტყვეობა“ და გამოძიება საქმაოდ გაჭიანურდა. დამნა-



შავედ გამოცხადებული მეამბოხე სტუდენტები ოთხ კატეგორიად დაყვეს და სასჯელი ისე შეუფარდეს ანუშაულისა ბის მოთავენი (პირველი კატეგორია) შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, მეორე კატეგორიას მიკუთვნება ულები უნივერსიტეტიდან კ. წ. „მგლის მოწმობით“ გაირიცხნენ (უფლება წაერთვათ უმაღლესში სწავლის გაგრძელებისა). ნიკო ნიკოლაძე მეორე კატეგორიაში მოხვდა. ეს იმას ნიიშნავდა, რომ იგი პატიმრობიდან თავისუფლდებოდა მშობლების თავდებით, მაგრამ უნივერსიტეტს უნდა ჩამოშორებოდა, რადგან პეტერბურგში საცხოვრებელი მოწმობა ერთმეოდა და სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ამგვარი განაჩენი ჩემთვის უფრო საშინელი იყო, ვიდრე პატორლაში გაგზავნა. „როგორ უნდა წავსულიყავი პეტერბურგიდან, როცა უჩემოდ შესაძლოა რევოლუცია მომხდარიყო?“ – იგონებდა ქართველი მოღვაწე. მართლაც, იმპერიის დედაქალაქში უკვე იგრძნობოდა მოახლოებული რევოლუციის სუნთქვა.

სწორედ იმ სანაც, პეტერბურგში გავრცელდა ლონდონიდან ფარულად შემოტანილი ა. პერცენის ცნობილი გაზეთის „კოლოკოლის“ ის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო მოწინავე „ბუმბერაზი იღვიძებს“ და 13 ოქტომბერს დაპატიმრებულ სტუდენტთა სია. სტუდენტთა მდელებარება აქ შეფასებულია, როგორც ახალი ხანის დასაწყისი რუსეთის სანაც.



სწორედ იმ სანაც სტუდენტთა სახელმწიფოში. ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, „ჩვენ ცას ვეწიეთ სიხარულისაგან: წარმოიდგინეთ, ეს ჩვენი სახით იღვიძებდა პირველად ბუმბერაზი რუსეთი.“

ციურის უნივერსიტეტი

ნიკო პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დასრულების საშუალება აღარ მიეცა, მაგრამ უმაღლესი განათლების დაუფლების გზნება მას არ განელებია. 1864



წელს 6. ნიკოლაძემ უცხოეთში წასვლის ნებართვა მიუღებული პარიზში გაემგზავრა და სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობას უძინან, რაც ერთი უმაღლესიდან მეორეში გადასცლას გულისხმობს, ის წესი ევროპაში XIX საუკუნეშიც მოქმედებდა. 1865 წლის შემოღვიძებიდან ნიკომ სწავლა შვეიცარიაში – შენევის უნივერსიტეტში განაგრძო, იქიდან ციურისში გადაინაცვლა და ორი წელი წელი აქაურ უნივერსიტეტში ისწავლა. 1868 წელს ფრანგულად დაწერილი ნაშრომისათვის (Dissertation de doctorat) „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური მნიშვნელობა“, რომელიც შენევაში ცალკე წიგნადაც დაიძებდა, ნიკო ნიკოლაძემ ციურისში უნივერსიტეტის ქურსდამთავრებულის დიპლომი და სამართლის დოქტორის კვალიფიკაცია მიიღო.

პუბლიცისტი. რედაქტორი. გამომცემელი

მიუხედავად იმისა, რომ იურისტობას აპირებდა (პეტერბურგის უნივერსიტეტში სწორედ ამ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ევროპაშიც იურისპრუდენციას უუფლებოდა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხიც მოიპოვა), ნიკო ნიკოლაძეს ახალგაზრდობიდანვე ერთი გატაცება პქონდა – საგამომცემლო ხაქმე და უურნალისტობა. ამას პობი არ ეთქმოდა, ეს სფერო უზომოდ იზიდავდა და, შეიძლება ითქვას, რომ მას ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა კიდევ.

ქუთაისში სტამბის გამართვის, იაფი წიგნებისა და გაზეთის გამოცემის იდეა ჯერც კიდევ 1863 წელს პეტერბურგში გაუწნდა და აზრი თავის მეგობარ კირილე ლორთქიფანიძეს გაუზიარა. მერქ, უცხოეთში მყოფს, ლითოგრაფიული დაზგა შეუძენია და 1873 წელს სამშობლოში დაბრუნებისას თან მოპქონდა, მაგრამ იმპერიის საბაჟო სამსახურს ნიკოლაძე საზღვარზე გაუქმნებავს და საბჭედი დანადგარი ჩამოურთმევია.

ხელისშემსლელი ბევრი გარემოება არსებობდა – მთავრობის პოლიტიკა, სათანადო კადრების ნაკლებობა, უსახსრობა და სხვა, მაგრამ ნიკო პრინციპის კაცი იყო

და უკან დახევა არ სჩვეოდა: ერთი წამოწყება არ გააძლიერდა? – მეორეს სცდიდა. აქაც ხელი მოეცა მომართავდა, და ასე, გრძელ შემტლივ.

პუბლიცისტიკაში კალამი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მოხინჯა. პირველი წერილი 1860 წელს, იმ ხანად საქართველოში გამომავალ ერთადერთ უკრნალ „ცისკარში“, დაუბეჭდეს. ამის შემდეგ პეტერბურგის უკრნალ „ისკრაში“ მოთხრობა გამოაქვეყნა, მცირე ხნით 6. ნეკრასოვისა და 6. ჩერნიშველის განთქმულ „სოვერემენიკის“ უშტატო კორექტორის მოვალეობის შესრულებაც მოუხდა და პერიოდული ორგანოს გამოცემის წვრილმანებიც შეითვისა. აქვე რამდენიმე პუბლიკაციის გამოქვეყნებაც მოახწრო, ვიდრე 1862 წელს უკრნალს რვა თვით აკრძალავდნენ, ხოლო ნიკო საქართველოში გამომგზავრებოდა.

ევროპაში სწავლის პერიოდში პარალელურად სხვადასხვა გამოცემებთან თანამშრომლობდა. ადსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ქართველი პუბლიცისტი სახელგანთქმულ „კოლოკოლში“ პირადად ა. პერცენმა მიიწვია.

„კოლოკოლი“ უცხოეთში გამომავალი ცენზურაგაუჭლელი ის რუსული გამოცემა იყო, რომელიც XIX საუკუნის 50-60-იან წლებში მთელი რუსეთის პროგრესულ საზოგადოებრივ აზრს წარმართავდა. იმპერიის ფარგლებში კონსპირაციული გზით შემოტანილი მისი ნორჩები ხელიდან ხელში გადაღიოდა. თავისუფლების წყურვილით გაშეღწილი გაზეოთის პუბლიკაციები, განსაკუთრებით ინგლიდგნტურ წრებში, აღფრთვანებას იწვევდა. ა. პერცენისა და 6. ოგარიოვის სახელები ყველას პირზე ეკერა. სავსებით ბუნებრივია, რომ ნიკო ნიკოლაძემ დიდ პატივად მიიჩნია პერცენის მიპატიუება, მაგრამ ქართველ მოღვაწეს არ სჩვეოდა ავტორიტეტთა ბრძა მორჩილება. იმის გამო, რომ რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნის მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეოთის გამომცემელთა და 6. ნიკოლაძის შეხედულებები ერთმანეთს არ დაემთხვა, ამ უკანასკნელმა ზურგი აქცია „კოლოკოლს“ და მის რედაქციასთან ურთიერთობა შეწყვიტა.



ქართველისა და ოგარიოგს დაშორდა, მაგრამ ნ. ნიკოლაევის
ლაძე არ გამიჯვნია რუს რევოლუციონერთა მომდევნილობა



თაობას, რომელიც ისტორიაში „ახალი ემიგრაციის“ სახელითაა ცნობილი. 1860-იან წლებში მეფის მთავრობის მიერ სამშობლოდან დევნილი რაზნობინელი ახალგაზრდობის პირებელი ტალღა ეკროპას შეეხიზნა. ამ ახალგაზრდობის ხელმძღვანელ ბირთვს – ნ. უტინს, მ. ელადინისა და სხვებს, რომლებმაც შვეიცარიაში „თავისუფალი რუსული პრესა“ დააფუძნეს, ნიკო პეტერბურგიდან იცნობდა.

1866 წლიდან ქართველი თერგადალეული და მ. ელადინი ჯერ გაზეთ „Подпольное слово“-ს, ხოლო ორი წლის შემდეგ „Летучие листки“-ს გამოსცემდნენ.

1866 წელს ცალკე წიგნაკად გამოვიდა ნიკო ნიკოლაძის რუსულად შექმნილი ვრცელი ნარკევე „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელიც ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „ნიკიფორე გ“.

1868 წელს ნიკო ნიკოლაძე ლ. მეჩნიკოვთან (ემიგრაციაში მოღვაწე რუსი რევოლუციონერი ანარქისტი, სოციოლოგი და პუბლიცისტი) ერთად სათავეში ედგა მათ მიერ ციურისში დაარსებულ ჟურნალს „Современность“.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ შემდეგ სოლიდური გამოცდილების მქონე პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე თავდაპირეველად „დროების“ ჯგუფს შეუერთდა და ერთი წლის განმავლობაში სერგეი მესხის მხარდამხარ ამ გაზეთის გამოცემას უძღვებოდა, თანამშრომლობდა ასევე პბებულოვის გაზეთში „Тифлисский вестник“. 1871 წლიდან ნიკოს თაოსნობით ჟურნალი „კრებული“ დაფუძნდა. გამოცემის ოფიციალური ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი იყო, მაგრამ ფაქტორივად ჟურნალს ნიკო რედაქტორიბდა. „კრებულში“ ნიკო ნიკოლაძის ორ ათეულამდე წერილია დაბჭებილი, რომლებიც საქართველოს საზოგა-



დებრივ ცხოვრებას, გეონომიკურ ვითარებას, ლუტერანულ რის განვითარების საკითხებსა და სხვა აქტუალურ სუმებს ეძღვნებოდა.

1873 წლს ნიკო დროებით პარიზში გაემგზავრა, უგაზეთოდ ვერც იქ გაძლო და დაგით მიქელაძესა (მევჭლე) და პავლე იზმაილოვთან ერთად პირველი ქართული ჰექტოგრაფიული გაზეთის „დროშის“ ათი ნომერი გამოსცა.

1878 წლის იანვრიდან ნიკო ნიკოლაძემ თბილისში რუსულენოვანი ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის „Онзор“-ის გამოცემის უფლება მიიღო. როგორც იქნა, საკუთარ გაზეთს ელირსა, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის ცერტერივით მოდარაჯე ცენზურა გასაქანს არ აძლევდა რედაქტორს.

ცენზურა რუსეთში ჯერ განათლების სამინისტროს უწყებაში შედიოდა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუჭერდებარეს. ამით პირდაპირ ესმებოდა ხაზი იმას, რომ ცენზურის მოთხოვნათა დამრღვევს საქმე უპვე უშეალოდ პოლიციასა და სასამართლოსთან ექნებოდა და არა განათლების სფეროს ბიუროკრატ ჩინოვნიკთან.

საიმპერიო ზედამხედველობის სამსახურები და მათ შორის ცენზურა უფრო მეტ სიფრთხილესა და სიმკაცრეს იმპერიის განაპირო მხარეებში იჩნდნენ. ამიტომაც იყო რომ, ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, მისი „პუბლიცისტური მისწრაფებები იყლითებოდა ცენზურის მახვილზე“. ნიკო არ თმობდა, ცენზორებს თავის სიმართლეს შეუპოვრად უმტკიცებდა და როცა სიტყვა უძლეური ხდებოდა, მუქარასა და ხელჩართულ ბრძოლასაც არ ერიდებოდა. დაუმორჩილებლობისათვის ორჯერ სამართლაში მისცეს, 1880 წლს კი გამოცემა დაუხურეს, თვითონ სტავროპოლიში გადასახლეს და 5 წლით საქართველოში ცხოვრებაც აუგდალეს.

როცა გადასახლების ვადა გაუვიდა, ნიკომ იმპერიის დედაქალაქს მიაშურა. 1881 წლის ბოლოს მან „Онзор“-ის განახლება და პეტერბურგში გადატანა დააპირა, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამსართველომ სასტიკი უარით

უპასუხა. მოგვიანებითაც ამაღლ ცდილობდა დაერსებინა ^{უკრ}_{უკრ} რიოდული ორგანო „კანდელის“ სახელწოდებით, რომელიც პეტერბურგში გამომავალი ყოველკაირული საოჯახო ილუსტრირებული ჟურნალის – „Нива“-ს ანალოგიური გამოცემა უნდა ყოფილიყო. პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ მოღვაწეს არც ამის ნება დართეს.

1887-1891 წლებში ნიკო ნიკოლაძე თბილისელი ნაფიცი მსაჯულის ა. სტეპანოვისაგან შექნილ რუსულენოვან გაზეთს „Новое обозрение“-ს განაგებდა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. „Новое обозрение“-ში ნიკოს ორასამდე სტატიაა დაბეჭდილი. 1894 წელს, ვიდრე ფოთის ქალაქის თავად აირჩევდნენ, ნიკო ნიკოლაძეს უკრნალ „მოამბის“ რვდაქციაში კხედავთ, მერე მას დრო ებით ქალმის გვერდზე გადადება მოუხდა, რადგან ათას-გვარ პრაქტიკულ სახრენავში ჩაეფლო და პუბლიცისტისთვის კედარ იცლიდა.

ფოთიდან წამოსვლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძის პუბ-
ლიცისტური ნიზი კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ახალი ელ-
გარებით. მისი უაღრესად საინტერესო წერილები ქვეყ-
ნდებოდა ეროვნული და დემოკრატიულ მიმართულების
პერიოდულ გამოცემებში, სახელით: „კურნალში
„კლდე“, გაზეთებში „იმერეთი“, „სამშობლო“, „საქართვე-
ლო“ და სხვ.

1925 წელს თერგდალეულთა უკანასკნელმა მოპიკანმა თბილისში გამომცემლობა „ქართული წიგნი“ დააარსა და გარდაცვალებამდე სათავეში ყდგა მის გამგეობას. იგი ასევე თანამშრომლობდა შურნალებთან „გავქასონი“ და „ახალი განვითარებისათვის“.

ნიკო ნიკოლაძე დიდი რეპუტაციით სარგებლობდა იმპერიისა და საზღვარგარეთის რადიკალურ წრეებში, პროგრესულ ქურნალისტთა საზოგადოებაში, რომლებიც სიამოცნებით უთმობდნენ მას თავიანთი გამოცემების ფურცლებს. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფსევდონიმს იყენებდა: „სკანდალი“, „რიონელი“, „ნიკიფორე გ“. წერდა ქართულად, რუსულად, ფრანგულად. მისი სტატიები ქართული პერიოდიკის გარდა გაძინებულია უამრავ რუსულ და უკროპულ ქურნალ-გაზეთში. მათ შორისა: „Искра“,

„Народное богатство“, „Санкт-Петербургские ведомости“, „Заграничный вестник“, „La nation suisse“, „La France“, „Современность“, „Голос“, „Новое время“, „Устой“, „Отечественные записки“, „Былое“, „Русская воля“ фә һәз.

ნიკო ნიკოლაძე საოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ამასთან, აშეარად გამორჩეულია მისი განათლების დიაპაზონი და სააზროვნო სივრცე. რაზე არ წერდა: რუსული ეურნალისტიკის პრობლემებზე, საფრანგულის დიდი რეკოლუციის შესახებ, ინგლისური ლიტერატურის ავ-კარგზე, ფრანგული პრესის ისტორიაზე, ქალთა ემანსიპაციის, ვაჭრობის, კრედიტის, მრეწველობის, მიწისმფლობელობისა თუ თვითმმართველობის საკითხებზე დასხვ. ცალქე დიდი თემაა ქართული ლიტერატურული კრიტიკა, რომლის ერთ-ერთ დამფუძნებლად ჩვენში სწორდნიკო ნიკოლაძეა მიჩნეული.

„ეს მაღალნიჭიერი, ჰქვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი პირველი ქართველი ქურნალისტია ევროპული მნიშვნელობითო“, წერდა ნიკო ნიკოლაძის შეხახებ არტურ ლაპასტი

„პაგასიის პუბლიცისტიკის არწივად“ წოდებული
ნიკო ნიკოლაძე პუბლიცისტური მოღვაწეობის მიზანს
ხალხის განათლებაში, მისი გონიერის გახსნისა და ხასია-
თის განმტკიცების ხელშეწყობაში ხდავდა. ეს მით უფ-
რო აუცილებელი იყო კოლონიურ საქართველოში, რომ-
ლის მოსახლეობა თვითმპურობელობას მუდმივი ჩამორჩე-
ნისა და უმეცრებისათვის ჰყავდა განწირელი. პუბლიცის-
ტიკის, ზოგადად პერიოდული პრესის დანიშნულების ნი-
კო ნიკოლაძისეული გააზრება თერგზალეულთა პოლიტი-
კურ პროგრამას პასუხისმგება, რომელიც ქართველთა ეროვ-
ნული თვითშეგნების გამოცოცხლების, ერის დაცემული
ვინაობის აღდგენის, დამოუკიდებელი სახელმწიფო ებრივი
ცხოვრების განახლების ამოცანებს ემსახურებოდა.

მნიშვნელოვან მოგლენათა შუაგულში

თითქოს დაებულიათ – სიჭაბუკიდანვე უმნიშვნელოვანების მოვლენათა შეაგულში მოუწია ყოფნა. ეპოქაც მისი

დინამიური და სწრაფცვალებადი იყო. ნიკო ნიკოლაძის სიცოცხლეში რუსეთში ოთხი მეტე შეიცვალა და სუსტიუტება რევოლუცია განხორციელდა: საქართველომ კოლონიური უდელი გადაიგდო, დამოუკიდებელი ცხოვრების სამწლიანი პერიოდიც განვლო და „ოქტომბრის კაბითაც შეიმოსა“. ნიკო ნიკოლაძეს დასახელებული და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენის თვითმხილველთა ან უშუალო მონაწილეთა შორის ვხედავთ. უინტერუსო არ იქნება, გავიხსნოთ ზოგირთი მათგანი.

შეხვედრა კარლ მარქსთან. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ევროპაში გაერცელება პოვა სოციალიზმის ახალმა მიმდინარეობამ, რომელიც მარქსიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. გერმანელმა მოაზროვნებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხს ენგელსმა არსებული ბურჟუაზიული წეობილების დამხობისა და სანაცვლოდ კომუნისტურ ფორმაციაზე გადახვდის თუორია შეიმუშავეს. ახალი, სამართლიანი და საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების ანუ კომუნიზმის დამკვიდრება მარქსსა და ენგელსს მსოფლიო პროლეტარეული რევოლუციის გზით წარმოედგინათ. ამ იდეოლოგიური ნააზრევის პრაქტიკაში განსახორციელებლად 1864 წელს ლონდონში მუშათა საერთაშორისო ასოციაცია – I ინტერნაციონალი, იგივე შრომელთა საერთაშორისო ამხანაგობა დაარსდა. ინტერნაციონალის მუშაობას მისი კონგრესი და გენერალური საბჭო უძღვებოდა. მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის მიზნით ინტერნაციონალი ცალკეულ ქაფნებსა და ქალაქებში თავის ხექციებს ქმნიდა.

კარლ მარქსს სურვილი ჰქონდა ასეთივე სექცია სამხრეთ კავკასიაშიც დაარსებულიყო და მისი ხელმძღვანელის კანდიდატურას დაეტებდა. მუშათა მოძრაობის ცნობილმა ფრანგმა ლიდერმა პოლ ლაფარგმა, რომელიც პ. მარქსის სიძეც იყო, ამ უკანასკნელს ნიკო ნიკოლაძე წარუდგინა. ნიკო მარქსიზმის იდეოლოგიას უკვე გაცნობოდა, ახლა კი შესაძლებლობა მიეცა კ. მარქსსაც შეხვედროდა. იგი პირველი ქართველი იყო, ვინც უშუალოდ გაეცნო დიდ გერმანელ მოაზროვნეს. კარლ მარქსს მოეწონა ევროპულად განსწავლებული ახალგაზრდა და მას ქავ-

ქასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენლობა
შესთავაზა.



მარქსის გახმაურებული სახელით შთაგონებული ბევრი პიროვნება ხალისით დათანხმდებოდა ამ წინადაღებას. ნიკო ნიკოლაძემ კი მას თავაზიანი უარით უპასუხა. საქმე ის იყო, რომ გონიერ მოღვაწეს მარქსისტული მოძღვრების საქართველოში დანერგვა ეროვნული თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნისათვის საზიანოდ მიაჩნდა და არც სცდებოდა. მარქსიზმის გავრცელებამ და ამ იდეოლოგიის მიმდევარი სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულმა მოღვაწობამ დიდად ავნო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, შეაფერხა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი, უკანა პლანზე გადასწია და გააჭიანურა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

6. ჩერნიშევსკის განთავისუფლება. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის პროგრესული საზოგადოებრივი აზრის მებაირახტრე ნიკოლოზ ჩერნიშევსკი იყო. მისი სახელი 6. ნიკოლაძის პეტერბურგში პირველი ჩასვლისას უკვე ა. პერვენის სახელს აღემატებოდა. სწორედ ამ პერიოდს დაგმოხვა ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეთა განზრახვა, შეექმნათ ფარული რევოლუციური ორგანიზაცია სახელწოდებით „ზემლია ი ვოლია“. ორგანიზაციის ფორმირება დასრულებული არ იყო, როდესაც მეფის მთავარობამ მისი მთავარი იდეოლოგი დაპატიმრა. ეს 1862 წლის ზაფხულში მოხდა. მანამადე კი ნიკო ნიკოლაძე პირადად გაეცნო რუსეთის ახალგაზრდობის ამ კუმირს და, ჩერნიშევსკის მეუღლის მიწვევით, პეტერბურგის უნივერსიტეტის ხუთიოდე სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად არაერთგზის ოჯახშიც სტუმრობდა ცნობილ მოაზროვნეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, მ. ელპიდინის მხარდამხარ, სწორედ ნიკო ნიკოლაძემ ითავა 6. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოქვეყნება. ქართველმა სამოციანელმა დაწერა შესავალი წერილი ამ გამოცემის I ტომისათვის და მთლიანი ტომის რედაქტორობაც იქისრა.



ადსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის სახელს უქავებული შირდება კატორდაში გადასახლებული ჩერნიშევსკის სამართლებაში გათავისუფლებაც 1883 წელს. ეს ამბავი იმდენად საინტერესო და საყურადღებო იყო თავის დროისათვის, რომ მას ნ. ნიკოლაძემ საეციალური მოგონება მიუძღვნა, რომელიც პირველად 1906 წელს ქურნალ „ბილოე“-ში დაიძებდა და შემდგენიც არაერთხელ გამოქვეყნდა.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთში მოქმედმა ნაროდნიკულმა ჯდუფებმა ქვეყანაში ფართო პოლიტიკური ტერორი გააჩადეს. ისინი თავს ესხმოდნენ მთავრობისა და უანდარმერიის ცალკეულ მოხელეებს, იწვევდნენ დესტაბილიზაციას და მიაჩნდათ, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა იმპერიაში გაბატონებული რუსიმის შეცვლა. 1881 წლის 1 მარტს ნაროდნიკებმა სიცოცხლეს გამოისალმეს იმპერატორი ალექსანდრე II. ამ ფაქტს ხელისუფლების მხრიდან სასტიკი ანგარიშსწორება და მაფური პოლიტიკური რეაქცია მოჰყვა. ყოველივეს მიუხედავად, რევოლუციური მოძრაობა სწრაფად არ ჩამცხალა. „კრამოლის“ ადგევთა ახალმა იმპერატორმა რეპრესიების გარდა მეამბოხე ძალებისათვის გარკვეული დათმობების შეეთავაზებით გადაწყვიტა. საჭირო იყო იმგვარი შუამავლის გამონახვა, რომელსაც რევოლუციონურებიც ენდობოდნენ და საიმპერიო კარიც. ამგვარ მედიატორად ნიკო ნიკოლაძე შეირჩა.

შეურიგებელთა შერიგება არ იყო იოლი საქმე. ამასთან, შუამავალიც არანაკლები საფრთხის წინაშე იდგა: შესაძლო იყო იგი პოლიციას საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებინა, ხოლო რევოლუციონერებს ეჭვი შეეტანათ მის კეთილსინდისიერებაში და ბრალი აგენტობაშიც დაფრთხოება.

თვითონვე წერდა: ყველანაირი ზომა უნდა მიმედო, რათა ჩემი „დიპლომატიური“ მისია ჯაშუშურ დივერსიად არ ქვეულიყო. ნიკოს ამ წამოწეულების საბოლოო შედევრისა ნაკლებად სჯეროდა, მაგრამ ხელისუფლებიდან წამოსულ წინადადებას მაინც დათანხმდა, ოდონდ მთავრობის



წარმომადგენლებისაგან სანაცვლოდ ნ. ჩერნიშვილის შემადგრინებელი თავისუფლება ითხოვა.

საიმპერიო ხელისუფლების მხირდან ამ საქმეებში საქმაოდ მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ ჩართული, სახელდობრ, ქარის მინისტრი, გრაფი ი. ვორონცოვ-დაშვერი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, გრაფი პ. შუგალოვი. არსებობს ცნობა, რომ ქართველი მოღვაწის საუბარს ვორონცოვ-დაშვერთან მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა თვით იმპერატორი ალექსანდრე III.

ნიკო ნიკოლაძე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს შეხვდა, მათ შორის: ნ. მიხაილოვსკის, მ. ანტონოვის, ნ. შელგუნოვს, გ. უხაპენსკის, ს. კრივენკოს, ლ. ტიხომიროვთან სასაუბროდ თავისი ხარჯით საგანგებოდ ჩავიდა შევიცარიასა და საფრანგეთში. მოისმინა ყველას აზრი და მათთან ერთად შეიმუშავა მოთხოვნათა პროგრამა, რომლის დაქმაყოფილების შემთხვევაში რევოლუციონერები თანხმობას აცხადებდნენ ხელი აედოთ ტერორსა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაზე. მოთხოვნები კი შემდეგი იყო: სოციალურ შეხედულებათა პროპაგანდის უფლება, ამნისტია, ბეჭდვითი სიტყვის, კრობისა და საზოგადოებრივი თვითმმართვულობის კომპეტენციათა გაფართოება. ნკოს წინადადებით, ჩამონათვალში ცალკე პუნქტად შეიტანეს ნ. ჩერნიშვის გათავისუფლების მოთხოვნა.

ურთიერთკომპრომისს მართლაც შეეძლო რამდენად შე დაემშვიდებინა რუსეთში შექმნილი დაბაბული სიტუაცია, მაგრამ ყველაფერი ისე ვერ განხორციელდა, როგორც დაიგეგმა. ვიდრე ნიკო ნიკოლაძე რევოლუციონერებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, ხელისუფლების ზედა ეშელონებში გარკვეული გადაადგილებები აღინიშნა. ლიბერალური კურსის შესვეურებმა (ლორის-შელიქვი, კორონცოვ-დაშვერი და მათი თანამოაზრები) წინანდევლი გავლენა დაკარგდეს. გაიმარჯვა უფრო მკაცრი მოლიტიკის შიმდევართა ჯგუფმა. ამიტომაც მთავრობამ რადიკალურ ბალებს არათუ რაიმე დაუთმო, პირიქით, კიდევ უფრო შეუტია და შეავიწროვა ისინი. დაქმაყოფილდა მხოლოდ ერთი მოთხოვნა, რომელიც ნ. ჩერნიშვილის ეხებოდა: 1883



წლის ნოემბერში იმპერატორმა შეიწყალა ოცი წლის წინა გადასახლებული რევოლუციონერი და იგი კატოლიკურ გაათავისუფლა.

ნიკო ნიკოლაძემ ამ ფაქტით მორალური კმაყოფილება მიიღო, მაგრამ საკუთარი ცხოვრება დიდად გაირთულა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასზე პოლიციური ზედამხედველობა დააწესა და თითქმის ათი წლის განმავლობაში ქართველი მოდგაწის ყოველ ზაიძჯს საიდუმლო პოლიცია უთვალთვალებდა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო და ნიკო ნიკოლაძე. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში რუსეთის იმპერია მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლის მომსწრე გახდა. სახალხო მოძრაობის ფართო აზვირთებამ მეფის ხელისუფლება აიძულა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე და რიგი დემოკრატიული ცვლილება განხორციელებინა. ცენზურის აკრძალვის, გაფიცვების დაშვების, პოლიტიკური ორგანიზაციების ლეგალურად შექმნისა და სხვა თავისუფლების გვერდით, ნებადართულ იქნა კანონშემოქმედებითი საკრებულოს – სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა. ეს ორგანო, რომელიც პირველ სანქციუფრო რევოლუციის ბობოქარი ტალღების შემაკავებელ ჯებირად განიხილებოდა, იმავდროულად რუსეთის სინამდვილეში პარლამენტარიზმის სათავედ მოგვევლინა. სხვადასხვა პოლიტიკური ძალა მას რუსეთში კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების გზაზე გაყვანის იმედს უკავშირებდა.

ცარისმის იმპერიულ ორბიტაში მოქცეული საქართველოსათვის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დაარსება მრავალმხრივ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოვლენა იყო. მან ბიძგი მისცა ახალი პოლიტიკური ჯგუფების, კავშირებისა თუ პარტიების წარმოშობას, გამოაცოცხელა და მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოებრივი აზრი.

საიმპერიო წარმომადგენლობითი ორგანოს დაფუძნების განზრახვამ ქართველი საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. „ქაცები გვჭირია, რომელთაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა უნდა ამცნონ მთელ რუსეთის



წლის ნოემბერში იმპერატორმა შეიწყალა ოცი წლის წესრიცხვის გადასახლებული რევოლუციონერი და იგი კატორდიდან გაათავისუფლა.

ნიკო ნიკოლაძემ ამ ფაქტით მორალური კმაყოფილუ-
ბა მიიღო, მაგრამ საკუთარი ცხოვრება დიდად გაირთვ-
ლა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასზე პოლიციური
ზედამხედველობა დააწესა და თითქმის ათი წლის გან-
მავლობაში ქართველი მოღვაწის ყოველ ჩაიძჯს საიდუმ-
ლო პოლიცია უთვალთვალებდა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო და ნიკო ნიკო-
ლაძე. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში რუსე-
თის იმპერია მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლის მომ-
სწრე გახდა. სახალხო მოძრაობის ფართო აზვირთებამ
მეფის ხელისუფლება აიძულა წასულიყო გარკვეულ დათ-
მობებზე და რიგი დემოკრატიული ცვლილება განეხორ-
ციველებინა. ცენზურის აკრძალვის, გაფიცვების დაშვების,
პოლიტიკური ორგანიზაციების დევალურად შექმნისა და
სხვა თავისუფლების გვერდით, ნებადართულ იქნა კანონ-
შემოქმედებითი საკრებულოს – სახელმწიფო სათათბი-
როს მოწვევა. ეს ორგანო, ომელიც პირველ ხანებში
უფრო რევოლუციის ბობოქარი ტალღების შემაკავებელ
ჯებირად განიხილებოდა, იმავდროულად რუსეთის სინამ-
დვილეში პარლამენტარიზმის სათავედ მოგვევლინა. სხვა-
დასხვა პოლტიკური ძალა მას რუსეთში კონსტიტუციური
მონარქიის შემოღებას, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარე-
ბის გზაზე გაყვანის იმედს უკავშირებდა.

ცარიზმის იმპერიულ ორბიტაში მოქცეული საქარ-
თველოსათვის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დაარ-
სება მრავალმხრივ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი
მოვლენა იყო. მან ბიძგი მისცა ახალი პოლიტიკური ჯგუ-
ფების, კავშირებისა თუ პარტიების წარმოშობას, გამოა-
ცოცხლა და მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოებრივი აზ-
რი.

საიმპერიო წარმომადგენლობითი ორგანოს დაფუძნე-
ბის განზრახვამ ქართველი საზოგადოების ცხოველი ინ-
ტერესი გამოიწვია. „კაცები გვჭირია, რომელთაც ჩვენი
დღევანდველი მდგომარეობა უნდა ამცნო მთელ რუსეთის



საუკეთესო ნაწილს და თვით ეკროპასასაც. ვის შემთხვევა
ესა პქმნას ისე კარგად, ისეთის აეტორიტეტით, როგორც
მომავალ დეპუტატებს? – წერდა ქართული პრესა.

იმ დროინდელი საქართველო ამგვარი კაცების დე-
ფიციტს ნამდვილად არ განიცდიდა. ახალგაზრდებზე
რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ მუხლი არ მოჰკვეთო-
დათ და მწყობრში იყვნენ თევდალეულთა დიდი თაობის
წარმომადგენლები: ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი, ნიკო.
ამათზე უკეთ ვინ წარმოაჩნდა საქართველოს სატკივარს,
ვინ დაიცავდა ერისა და ქვეყნის ინტერესს მაღალი საიმ-
პერიო ტრიბუნიდან? ვინ იყო უფრო სახელმოვანი და აჭ-
ტორიტეტული ქართველ მოღვაწეთა შორის, ვინ ედგა და-
რაჯად ერის ღირსებას ათეული წლების განმავლობაში,
ვის პქონდა საქართველოს ისტორიულ უფლებათა დაც-
ვის ისეთი ცოდნა-გამოცდილება, როგორიც ამ მამულიშ-
ვილებს? არც არავის. საქართველოდან თუნდაც ერთი
დეპუტატი რომ ყოფილიყო სათათბიროში წარსაგზავნი,
ისიც, უგჰელად, ამ წრიდან უნდა შეერჩია გონიერ ამომ-
რჩეველს.

ისიც აუცილებლად სათქმელია, რომ თუ კავკასიაშ
და საქართველომ საარჩევნო უფლება მოიპოვა, ამაში
მნიშვნელოვანი წვლილი სამოციანელთა წარმომადგენ-
ლებსაც მიუძღვით.

ცნობილია: რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არ-
ჩევნების დებულებით, რომელიც 1905 წლის 11 დეკემბერს
გამოქვეყნდა, მომავალ საქანონმდებლო ორგანოში კავკა-
სიელი დეპუტატების არჩევა გათვალისწინებული არ ყო-
ფილა. მთავრობა ამას იმ გარემოებით ხსნიდა, რომ ამ
მხარეში „ჯერ კიდევ გრძელდებოდა რევოლუციური ამ-
ბოხება“. კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვაშვილმა
პრობლემის მოსაგვარებლად პეტერბურგს ადგილობრივი
ერების წარმომადგენლები მიავლინა. ქართველთაგან დე-
ლეგაციაში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი
ქურული შედიოდნენ. დელეგაციის ძალისხმევაში იმპერიის
სახელმწიფო საბჭოში ნაყოფი გამოიდო – კავკასიას და
მათ შორის საქართველოს არჩევნებში მონაწილეობის ნე-
ბა დაერთო.



მაშინდედი წესით, ხალხის რჩეულთ პირდაპირი ხმის მიცემით არ ირჩევდნენ. არჩევნები ირიბი – საქართველოს როებრივი იყო: დადგენილი ოლქების მიხედვით სათანა-დო ცენტის მქონე კლემტორატს ჯერ ამომრჩეველთა გარ-კვეულ რაოდენობა უნდა აერჩია, დეპუტატის არჩევა კი ამ უკანასკნელთა პრეროგატივას შეაღგენდა.

1906 წლის აპრილში, რუსეთის I სახელმწიფო სა-თათბიროს ამომრჩეველთა არჩევნებში კენჭი ნიკო ნიკო-ლაძემაც იყარა. 710 მონაწილიდან ნიკომ ყველაზე მეტი – 575 ხმა მიიღო და ამომრჩევლად გავიდა, მაგრამ დეპუტა-ტობისათვის ბრძოლა აღარ გაუგრძელებია.

სათათბიროს არჩევნებში, როგორც წესი, წარმატებას პოლიტიკური ორგანიზაციები და მათი კანდიდატები აღწევდნენ. პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის გარეშე სა-დეპუტატო მანდატს ვერავინ მოიპოვებდა. 1906-1912 წლებ-ში, როცა რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს არჩევნე-ბი ეწყობოდა, ნიკო ნიკოლაძე უპარტიო იყო. იგი მომდევ-ნო საარჩევნო ბატალიებში უშუალოდ აღარ ჩარეცულა, თუმცა 1912 წლს არჩევნებთან დაკავშირებულ მძაფი პო-ლემიკას მაინც ვერ ასცდა და, როგორც წინასაარჩევნო კამპანიას ახასიათებს, მის მიმართაც არაერთი უსიამოვ-ნო ბრალდება გაისმა. ნიკო ნიკოლაძე იძულებული გახდა მოპავრე ვასილ წერეთლის (იმ ხანად წერდა „უროს“ ფსევდონიმით) საპასუხოდ ცალკე ბროშურაც გამოეცა. ბროშურას „ჩემ პოლიტიკაზე“ ჰქვია და მკაფიოდ წარმოა-ჩენს ქართველი სამოციანელის დამოკიდებულებას არჩევ-ნების, პოლიტიკური ბრძოლის, საქართველოს ავტონომიი-სა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი.

ნიკოლოზ II-ის გადადგომა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული რუსეთის იმპერატორები დაპ-ყრობილი საქართველოს მონარქებადაც ითვლებოდნენ. ითვლებოდნენ რუსული კანონმდებლობით, თორემ ქარ-თველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას ეს უცხო ტახტის მფლობელი თავის კანონიერ მეფეებად არახო-დეს მიუჩნევია. მეტიც, ქართველობა იარაღით ხელში თუ მშვიდობიანი საშუალებებით უპირისპირდებოდა იმ ქო-

ლონიურ რეჟიმს, რომელსაც რუეთის ცარიზმი, უფრო
თვითმპურობელობა განასახიერებდა.



ამის პარალელურად, უნდა ითქვას, რომ ადგილობ-
რივი არისტოკრატიის ბევრმა წარმომადგენელმა კოლა-
ბორაციონიზმი ამჯობინა და იმპერიის სამსახურში საბუ-
თარი ნებით ჩადგა („მიერთებუნებ რუსთა“).

დასავიწყებელი არც ისაა, რომ რუსიფიკაციორული
პოლიტიკის გავლენით არარეს მოსახლეობაში, მათ შო-
რის საქართველოშიც, იმპერიული რეჟიმისადმი ლოიალო-
ბისა და რუსთხელმწიფოებისადმი ერთგულქვეშევრდომუ-
ლი სულისკვეთება ინერგებოდა. ამიტომაც იყო, რომ ქარ-
თველ საზოგადოებაშიც გაჩნდენ იმპერიის მმართველთა
მეხოტბენი და გუნდრუებისმკნევლნი. ნიკო ნიკოლაძის
სიტყვით, მამაჩემი ნიკოლოზ I-ს „დიდხანს თაყვანს სცემ-
და, როგორც ბევრი სხვა მასზე უფრო ნასწავლიც.“

რუსეთის მონარქთაგან საქართველოს მეფის ტიტული
სამა ალექსანდრემ და ორმა ნიკოლოზმა ატარა. ნერი
ქვეყნის დამპურობლები პავლე I და ალექსანდრე I ისე გა-
შორდნენ წეთისოფელს, რომ საქართველო თვალით არ
უნახავთ. მომდევნო იმპერატორი ნიკოლოზ I მხოლოდ 1837
წელს ესტურა აქტურიბას და დიდადაც მოიხიბდა სამ
ათეულზე მეტი ხნის წინ იმპერიის წიაღში ინკორპორირ-
ბული ამ კუთხის გაცნობით. ნიკო ნიკოლაძე ამ დროს ჯერ
კიდევ დაბადებული არ იყო, მაგრამ 1850 წელს ტახტის მემ-
კვიდრის (შემდეგში იმპერატორი ალექსანდრე II) ჩამოსვლა
ქუთაისში კარგად დამახსოვრებია, რადგან უფლისწელი იმ
გიმნაზიასაც სწავლით, სადაც ნიკო სწავლობდა.

ალექსანდრე II-სთან ქართველ სამოციანელს საბუ-
თარი ანგარიშები პქონდა. ჯერ იყო და 1861 წელს ამ
ხელმწიფის განკარგულებით, ნიკო პეტერბურგის უნივერ-
სიტეტიდან დაითხოვეს და კრონშტადტის ციხეშიც ჩას-
ვეს, ხოლო 1880 წელს გაზეთი „ობზორი“ დაუხურეს და
სტავროპოლიში გადასახლებს. საინტერესო დამთხვევაა:
ნიკო ნიკოლაძე გადასახლებიდან თბილისში სწორედ იმ
დღეს დაბრუნდა (1881 წლის 1 მარტი), როცა ტერორის-
ტო ბომბმა ალექსანდრე II-ს სიცოცხლე მოუხსრავა.

მომდევნო იმპერატორმა ალექსანდრე III-მ იცოდა ნიკოლაი ბატონიშვილის გინაობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოწვევო პერიოდის ხელისუფლებამ რევოლუციურ წრეებში ქართველი მოდგაწის ავტორიტეტი თავის სასარგებლოდ კიდევაც გამოიყენა, მაგრამ ნიკოლაი გრიგორიან დეპუტატის და პოლიციის საიდემლო მეთვალყურეობას ვერც ამ ხელმწიფის ზეობაში გადაუწია.

რესეტის ბოლო მონარქის – ნიკოლოზ II-ის მმართველობის პერიოდს სახალხო რევოლუციაში მონაწილეობისათვის ათასობით ქართველის დაპატიმრება, გაციმბირება, სიკვდილით დასჯა, დასავლეთ საქართველოში ცნობილი სადამსჯელო ექსპედიციების თარეში უკავშირდება. თუ 1905-1907 წლებში ხელისუფლებამ ხალხზე იმძლავრა და გაიმარჯვა, 1917 წლის თებერვალში პირიქით მოხდა. რევოლუციის ახალმა ტალღებმა გაბატონებული რევიმი მძლავრად შეარყია, თვითმპროცესულობას ბურჯები გამოაცალა და საიმპერატორო ტახტიც შთანთქა.

ბეჭდა, ისე ინგბა, რესეტის დედაქალაქში აზვირთვბული მასშტაბური მდელვარების მომსწრე და თვითმხილველი ნიკოლაი ბატონიშვილი გამხდარიყო. „ამ დღეებში აქ დიდი უწესოებები მოხდა, ხალხი აშფოთდა, რომელიც სროლით დაამშეიდეს. არ იცის კაცმა, დაბოლოვდა გუშინდელი სროლით ეს მოძრაობა, და „ზაბასტონებათ“ გადაიქცა, თუ კიდევ გაგრძელდება დღეს და შემდეგ?“ წერდა ნიკოლაი პეტროგრადიდან გაგზავნილ ერთ კერძო წერილში 1917 წლის თებერველის ბოლოს.

არეულობა საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. ამბოხებული ხალხის მხარდასაჭერად ქაჩებში პეტროგრადის სამხედრო ნაწილებიც გამოვიდნენ. ნიკოლოზ მეორემ ბრძანება გახცა, დაუყოვნებლივ აღმავეთათ უწესობობანი და დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობაც გამოაცხადა, მაგრამ სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელი გამხდარიყო. შექმნილმა რეალობამ იმპერატორი აიტულა უარი ეთქვა მეფობაზე და ხელისუფლებას გამოთხოვებოდა.

ნიკოლოზ II-ის მანიფესტი ტახტიდან გადადგომის შესახებ 1917 წლის 3 მარტს გამოქვეყნდა. ადრე გაზაფ-



ხულის ხუსსიან დიდას, თავრიდის სასახლესთან შეკრუჭი ბილ აბობოქრებულ ზღვა ხალხში უკანასკნელი მუჭოთ და ლეულიც იდგა და რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის უკანასკნელ მანიფესტს ქმაროვილებით ისმენდა. ამ ისტორიული მომენტის შემსწრე ნიკო ნიკოლაძეს არ ტოვებდა განცდა, რომ იმ ეამად მისი იქ ყოფნა ერთგარი ანგარიშის გასწორება იყო რომანოვების დინასტიასთან იმ უსამართლო გადაწყვეტილების გამო, რომელიც 1802 წელს რუსის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში გამოცხადდა. წარსულის ხსოვნა ჯერაც მძაფრი იყო, რადგან ქართული სახელმწიფობრივის გამაუქმებელი ალექსანდრე I-ის მანიფესტიდან ნიკოლოზ II-ის გადადგომის მანიფესტამდე მხოლოდ 117 წელი გასულიყო.

პრაქტიკულ საქმეთა თაოსანი

„ნიკო ნიკოლაძეს მისსავე სიცოცხლეში უწოდეს „ულმობელი საქმის კაცი“. მართლაც, რას ადარ სწვდგბოდა მისი მოუღლელი, მეოცნებე გონება და მასშტაბური ხედვა. აქ დიდი ერისკაცის პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას არ ვვულისხმობ, – პრაქტიკულ საქმეებს გადავავლოთ თვალი: ჭიათურის მარგანეცის დამუშავება და ექსპორტი, ფოთის ნავსადგური, რაჭისა და სვანეთის ტყეების ექსპლუატაცია, თბილისის წყალსადგნის მშენებლობა, აბანოების კეთილმოწყობა, დასალეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენებაზე ზრუნვა, რიონზე ნაოსნობის ადგგენის, ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ნავთობსადენის გაყვანის, საქართველოში რკინიგზის ქსელის გაფართოების, რკინიგზის ელექტრიფიკაციის თამაში გეგმები და ათასი ხევა. ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელი მოჰყიდა, შთამბეჭდავი, ღრმა და წარუშლები ეგადი დააჩნია. მისი თანამედროვენი გადმოგვცემზე, რომ „ნიკო ნიკოლაძემ მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავისი ერის ბევრი შნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა და ნათელი გონებით განსკვრიტა“.



ნიკო ნიკოლაძის მიერ განხორციელებული პრაქტიკული საქმეებიდან ერთ-ერთი პირველი ტყიბულის ქვანახური შირის წარმოებას უკავშირდება. ბუნებრივი საწვავის საბადო ტყიბულის შემოგარენში XIX საუკუნის 20-იან წლებში იქნა მიკვლეული, მაგრამ მისი მაღაროდან ამოდება და ტრანსპორტირება პრიმიტიული გზით წარმოებდა. ქართველი სამოციანებლის თაოსნობით 1889 წელს ჩამოყალიბდა სააქციონერო საზოგადოება „ნახშირი“, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე წარმატებით უძღვებოდა ტყიბულის ქვანახშირის მოპოვოვებასა და გასაღებას. ნიკო ნიკოლაძე იყო ტყიბულის რკინიგზის ხაზის გაყვანის თაოსანიც და რწმუნებულიც. მან შეძლო დაერწმუნებინა იმპერიის მმართველი წრეები ამ წამოწყების სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ მნიშვნელობაში. ნიკოს დიდი ძალისხმეულით 1883-1887 წლებში აიგო და ექსპლუატაციაში შევიდა ტყიბულის ქუთაისთან დამაკავშირებელი რკინიგზის მონაცემთი. ამით წიაღისეულის ტრანსპორტირება ძირებულად გაუმჯობესდა და გაიაფდა. საგრძნობლად შემცირდა ასევე ქვანახშირის თვითდირებულებაც.

თავის დროზე ნიკო ნიკოლაძემ წლილი ბაქო-თბილისის რკინიგზის მშენებლობაშიც შეიტანა, როცა უმსხვილესი ფრანგი მაგნატები ალფონს და გუსტავ როტ-შილდები (მათი ქონება იმუამად მიღიარდ ნახევარფრანგის აღწევდა) ამ საქმესთან დააკავშირა, მაგრამ ქართველ სამოციანებლს უფრო მეტი დამსახურება მიუძვის იმაში, რომ მატარებლები სურამის ქედის გადავლის ნაცვლად წიფის გვირაბით მოძრაობენ. 4 კილომეტრი სიგრძის გვირაბი, რომელიც გაუგანილ იქნა 1886-1890 წლებში, ამ ტიპის პირველი ნაგებობა იყო რუსეთის იმპერიაში. აღსანიშნავია, რომ მის არც დაპროექტებასა და არც მშენებლობას ნიკოს მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია. 120 წლის წინ აგებული წიფის გვირაბი, რომელიც „აზრისა და ტექნიკის გამარჯვების დღესასწაულად“ მოინათლა, დღესაც გამართულად ფუნქციონირებს.

რკინიგზამ არაერთი სიახლე დაამკიდრა ქართულ ყოფაში. მისი ზეგავლენა ცხოვრების მრავალ სფეროს, მათ შორის ენასაც დაეტყო. ტრანსპორტის ახალ სახეო-

ბასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულ ლექსიკაშიც აისახა. საგულისხმოა, რომ სიტყვები „ლექსიკოსი“ და „ორთქლმავალი“ ქართულ ენაში ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა.

დიდი ამაგი დასდო ნიკო ნიკოლაძემ საქართველოში მარგანეცის მრეწველობის განვითარებას. მეფის მთავრობა თავს იკავებდა ამ საქმეში კაპიტალის დაბანდებისაგან, განსაკუთრებით აჭიანურებდა ჭიათურის მაღაროების დაკავშირებას მთავარ სატრანსპორტო არტერიასთან. ნიკოს რუსული თუ ქართული პრესის მემკვიდრეობით ხანგრძლივი ბრძოლა, სხვადასხვა ინსტანციაში ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაუდალავი მიმოსვლა და დავადასჭირდა, რათა მიეღწია უმაღლესად დამტკიცებული ხებართვისათვის ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის შტოს ასაგებად. მისმა მონდომებამ აქაც ნაყოფი გამოიიღო და უკვე 1895 წლის თებერვალში ოფიციალურად გაიხსნა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზი. მოგვიანებით, კერძოდ 1917 წელს ნიკო ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივი დაცემული კოონიქის გამოცოცხლებაში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გარკვეული საგადაზის შემოსავალიც გაუჩინა.

როცა საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა და ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გააერთიანეს, მოსკოვმა საქართველოს სამრეწველო ობიექტების კონცესიის წესით უცხოური კომპანიებისათვის გადაცემა გადაწყვიტა. ნიკო თავისი წელიდან ამ საქმეშიც შეიტანა. ცნობილი მრეწველი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ა. პარიმანი ჭიათურაში სწორედ ნიკო ნიკოლაძის რჩევით ჩამოვიდა.

ნიკო ნიკოლაძე გულმოდგინედ ზრუნავდა საქართველოს წყლის რესურსების გამოყენებაზე. მას მიაჩნდა, რომ თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის აუცილებელი იყო მტკვრისა და არაგვის შესაძლებლობათა ათვისება. 1920 წელს ნიკო იტალიიდან სპეციალურად ჩამოიყვანა ინჟინერი მდინარე უფირილაზე მცირე პე-

სის გასამართად. იმავე სპეციალისტს უნდა შეესწავლა
მდინარე ენგურის სიმძლავრეები მასზე მასშტაბურობითა
ელექტრო სადგურის (ნიკო ნიკოლაძე „წყალსადგურს“
უწოდებდა) ასაგებად და სხვ.

ნიკო ფურადღების ცენტრში მუდმივად იყო ქართული
ვაზი და ღვინო. იგი ბევრს ფიქრობდა და მუშაობდა ჩვენში
მევენახეობა-მედვინეობის განვითარების საკითხებზე, ქარ-
თველ მედვინებს ურჩევდა მსხვილი სარდაფების მოწყობას
და სამისოდ ამხანაგობების შექმნას სთავაზობდა.

ნიკო ნიკოლაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია
არც ჩაის კულტურა, რომელიცის ის ის იყო ინერგებოდა
საქართველოში. მან ფოთხა და დიდ ჯიხაიშში საკუთარი
ხელით დარგო ჩაის ნერგები, რითაც ერთგვარი პოპულა-
რიზაცია გაუწია ახალ შემოსავლიან მცენარეს.

ნიკო ნიკოლაძე დაინტერესებული იყო ნავთობსადე-
ნის გაყვანით ქალაქ გროზნოდან ფოთამდე, შედგენილი
ჰქონდა გმირაც სახელწოდებით: „ნავთობსადენი გროზნი –
შავი ზღვის ნაპირი.“ დარწმუნებული იყო, რომ ეს მი-
ლი დიდად ასარგებლებდა ჩვენს ქვეყანას, 1922 წელს
უცხოეთში ინვესტორიც მოიძია ნავთობის ცნობილი კომ-
ანის „შელლის“ სახით, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში
ნიკოლაძის პროექტი აღარ განხორციელებულა.

ნიკო ნიკოლაძის აზრით საქართველოში ახალი სა-
მუშაო აღიიღების შესაქმნელად (მისი სიტყვით, „ბარაქი-
ანი მუშაობის შოვნისათვის“) დიად ხელსაყრელი იქნებო-
და ქართული ხე-ტყის გონივრული ექსპლუატაცია. საზ-
ღვარგარეთ ყოფნისას დაუახლოვდა კიდეც ამ საქმით და-
ინტერესებულ კანადურ ბანკს და ცდილობდა აქტიურად
მოვზიდა უცხოერი კაპიტალი საქართველოს ტყეების და-
მუშავებაში.

დიდი თერგდალებული თავისი ბუნებით ნოვატორი
ადამიანი იყო, სიახლისაქნ მუდმივი და უშიშარი სწრაფ-
ვა ახასიათებდა. მაგალითად, მის სახელს უკავშირდება
ქართულ სინამდვილეში ფასიანი ქადალდების გამოყენე-
ბის პრაქტიკა: ფოთის ქალაქის თავად მუშაობის პერიოდ-
ში პირველმა მან გამოუშვა სამპროცენტიანი ობლიგაცია,



ასევე გაავრცელა ლატარიის ბილეთები და შემოხული თანხა ნაგსადგურის კეთილმოწყობას მოახმარა. ურთიერთი განვითარებისა

ადსანიშნავია ისიც, რომ ბეტონი, რომელიც, ზოგიერთი ცნობით, ჯერ კიდევ 6 ათასი წლის წინ შეამდინარეთში, ხოლო მოგვიანებით ძველ რომშიც იხმარებოდა და შემდეგ ხანგრძლივად დავიწყებას მიეცა, საქართველოში პირველად ნიკო ნიკოლაძემ გამოიყენა ქალაქ ფოთის ჯებირის მშენებლობაში.

ქალაქის თავი

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ ნიკოლაძეს ფოთში სავაჭრო სახლი და მამულიც პქონდა, მომავალ თერგდალეულს ამ ქალაქთან უსიამოვნო მოგონება აკაგშირებდა. გიმნაზიის მეხუთე კლასებით მოსწავლე იყო, როცა მამამ ნიკო ფოთში წაიყვანა იქაური საქმეების გასაცნობად. „ფოთი მაშინ მთლად ჭაობსა და ტყეში ყოფილა დამბლული“. ბავშვს იმ დროს კოლხეთში ფართოდ გავრცელებული სენი – მალარია შეჰქრია და მძიმე ავადაც გამხდარა. გამოჯანმრთელებას ერთ წელზე მეტი დრო დახვირდა. ეს 1858-1859 წლებში იყო. მერე ნიკოს ცხოვრება ისე წარიმართა, რომ რამდენიმე ათწლეული ფოთთან ინტენსიური შეხება აღარ პქონია. ისე კი ფოთის იერსახის შეცვლაზე ბევრი პქონდა ნაფიქრი. ჯერ კიდევ 1871 წელს წერდა: „ფოთის ადგილ-მდგბარეობის უცედესი მხარე ის არის, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და რიონის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსება...“

— ფოთის გასაშრობად საჭიროა რიონის ნაპირის დაგუბგა და ამაღლება, მთელი ქალაქის სივრცეზე დიდალი ქვიშის მოყრა და რუების გაყვანა. ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რეინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შეა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისელა-მოსვლა და აღებ-მიცემა ერთი მხრით ევროპასა და მეორე მხრით საქართველოს, შეა აზიას და სპარსეთს შო-

რის, და ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა. იგი შეიქმნება ერთი უდიდესი და უძლიდრესი საგაჭრო ცალკეობას ლაქთაგანი, იგი აჯობებს მაშინ თდესასაც...“ ისე მოხდა, რომ ამ გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილის პრაქტიკული ხორცებს მოგვიანებით თვითონვე მოუწია.



ცემოთის ქოშეთ. ზედა ორი სართულით დაშენებულია
b. ნიუოლაძის დროს

1874 წელს მეფის მთავრობამ საქართველოში საქალაქო რეფორმა გაატარა, რაც ქალაქებისათვის თვითონმართველობის უფლების მინიჭებაში გამოიხატა. თვითონმართველობის ძირითად ფუნქციას კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა, ქალაქის გარეგნება იქრსახეზე ზრუნვა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, განათლების კერებისა და სამკურნალო დაწესებულებათა გახსნა და სხვ. შეადგენდა. ხიახლე პირველად თბილისს შეეხო. არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულ თბილისის სათათბიროში 75

ხმოსანი შედიოდა. მათ მუშაობას უძღვებოდა გამგეობრივი ქალაქის თავის თავმჯდომარეობით.

1875-1876 წლებში საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები არჩეულ იქნა ქუთაისში, გორსა და ახალციხეში, ხოლო 1882 წელს – ფოთში.



ფოთის პორტი დღეს

ფოთის თვითმმართველობის სათავეში ნიკო ნიკოლაის არჩევის საკითხი 80-იან წლებშიც განიხილებოდა, ოდონდ დაბრკოლებად ის იქცა, რომ ქართველ მოღვაწეზე იმპერიის პოლიციის დეპარტამენტს ფარული მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნების ასეთ პოსტზე დამტკიცებას კი, ცხადია, ხელისუფლება არ დაუშვებდა. მოგვიანებით, ქართველ თავად-აზნაურთა საკრებულოს თხოვნით, ნიკოზე პოლიციური თვალთვალი შეწყდა და დიდ სამოციანელს შესაძლებლობა მიეცა კენჭი ეფარა ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზე. 1894 წლის ოქტომბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად (310 ამომმრჩევლიდან მის კანდიდა-

ტურას ხმა მისცა 193-მა) ნიკო ნიკოლაძემ ფოთის წინაშე დღოლობა ჩაიბარა. იგი ენერგიული, შრომისმოყვარებული პრინციპული და სამართლიანი ხელმძღვანელი იყო.

„ვინც ფოთის ქალაქის გამგეობას ცოტაოდნავ მაინც იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ არც ერთს თანამდევ ბობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, რწეუნებრივი თუ ნაციონალური მიღრუ კიდება. ყველასაგან ვთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ“ – წერდა ნ. ნიკოლაძე.

ნიკო ამ დროისათვის საქმაოდ სახელმოხვევილი მოდგაწე იყო. მის ნააზრებს, პუბლიცისტურ წერილებსა თუ ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობას აღბათ ფოთელებიც იცნობდნენ, ახლა კი ისინი დიდი ერისკაცის გონიერი მმართველობის უნარშიც თვალისათვის დარწმუნდნენ. მზრუნველი ხელი აქაურობას მაღვე დაეტყო, ფოთმა სწრაფად იწყო განვითარება და უკეთესობისაკენ შეცვლა. ამიტომაც იყო, რომ ნიკო ნიკოლაძე მოსახლეობამ რამდნერმე უცდისუე აირჩია ქალაქის თავად. იგი ოცი წელი უძღვებოდა ფოთს, რაც იმ დროისათვის იშვიათი გამონაკლისი იყო.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე მოესწორ. საგრძნობლად გაიზარდა საქალაქო შემოსავლები. ადგილობრივი ბიუჯეტი თითქმის გაათმავდა და და 75 ათასი მანეთიდან 1895 წელს, 1914 წლისათვის 723 ათას მანეთს გადასცდა. ნიკო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ფოთს ირგვლივ ჯებირი შემოევლო, რამაც ქალაქის ქუჩები წყლის მუდმივი დინებისაგან საიმედოდ დაიცვა; აიგო სამი ხიდი, რომელთაგან თრი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებდა, ხოლო მესამე ფოთს გურიასთან აკავშირებდა; აშენდა ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე ქალაქსაც და ნავსადგურსაც თავისუფლად ყოფნიდა; გაიყვანეს ტელეგრონის ქსელი; სამოქალაქო და სახელოსნო სახწავლებლებისათვის წამომართა თრსართულიანი კაპიტალური შენობები; მოეწყო დახურული ბაზარი; მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნა სამელი წყლით; განახლდა ქალაქის კოშკი; აიგო მომხიბლავი ეკლესია; ქუჩები მოიკირწყლა და გაიყვანეს გზატ-



ქმცილები; მოეწყო ცხენის რკინიგზის დიანდაგრაფიული; აშენდა ელევატორი და სხვ.

არანაკლებ მასშტაბური იყო გეგმები, რომელთა ხორცშესხმას ნიკო ნიკოლაძე სამომავლოდ აპირებდა. მას შედგენილი პქონდა პროექტები საავადმყოფოს, სახალხო სახლისა და თეატრის ასაგებად, სამასწავლებლო ინსტიტუტის, სამეცნიერო და საოჯახო სკოლის დასარსებლად, აპირებდა შავ ზღვასა და პალიასტომის ტბას შორის მოეწყო კურორტი და სხვა.

როცა ნიკო ნიკოლაძე ქალაქის თავად აირჩიეს, ფოთი „მძიმე ავადმყოფს გავდა“, ხოლო როცა იქიდან წამოვიდა, ფოთი „ეპე „პირველხარისხოვან“ ბოდაზად“ იყო გადაქცეული. ცხობილია, რომ ფოთი ქალაქად XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან იწოდებოდა, მაგრამ ნამდვილი ქალაქის იერ-სახე მას ნიკო ნიკოლაძემ მისცა.

ნიკოს თავის თბილისური სახლის ერთ ოთახში სიცოცხლის ბოლომდე ედგა პარიზში ჩამოსხმული ფერადი ფაიფურის ბაყაყის მოზრდილი ფიგურა. ეს იყო დიდი თერგდალეულის მიურ „ჭაობიანი ფოთის ამოშრობისა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის ნაფსადგურად გადაქცევის სიმბოლო“.

თამარის ორდენის ქავალერი

ნიკო ნიკოლაძე არათუ მოესწრო სამშობლოს თავისუფლებას, არამედ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგენის საშეილიშვილო საქმე, რომელისთვისაც წინაპართა მრავალი თაობა იბრძოდა და რომელსაც მთელი არსებით ემსახურებოდნენ ქართველი სამოციანელებიც, ლოგიკურ დასასრულამდე მისი ქმედითი მონაწილეობით მივიღა.

ნიკო ნიკოლაძე პირველი და ერთადერთი იყო თერგდალეულთა შორის, რომელმაც „მამულის მსახურებისთვის“ ჯილდო მიიღო. 1918 წლის ივნისში მას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით თამარის ორდენი გადაეცა.



ეს ორდენი მხცოვან მოღვაწესთან ერთად სიმბოლური რად თერგადალეულთა მთელ პლეადას ეკუთვნოდა, სიმბოლური მელსაც ნიკო წარმოადგენდა. სწორედაც რომ სიმბოლურად, თორემ რეალურად იგივე „მამულის მსახურების-თვის“ სულ რადაც 10 წლით ადრე ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის წინამდობარი ილია ჭავჭავაძეს შებლში ტყვია დაახალეს. ეს ტყვია მაშინ მხოლოდ ერთი კაცის მოსაქლავად არ იყო გამზნული, ილიას მკალელუბი ბერდენებას სამშობლოს თავისუფლების იდეას და ავალია იმ მამულიშვილს ესროდნენ, ვისაც საქართველოს „გამოხსნა-აღდგენა“ ცხოვრების მთავარ მისწრაფებად დაეხსახა. მათ შორის უკანასქნელი არც ნიკო ნიკოლაძე ყოფილა, რომელიც უკვე წლებით დამზიმებული, თავის სამშობლოს ასე მიმართავდა: „მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცხობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია. ... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, რეგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა“.

ვისი ჯილდო იყო წმინდანად შერაცხული მეფე ქალის ორდენი და რისთვის მიეკუთვნა იგი ნიკო ნიკოლაძეს?


თამარ მეფის ორდენი 1915 წელსაა დაარსებული. იგი პირველი მსოფლიო ომის წლებში უცხოეთში აღმოცენებულმა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ჯგუფმა – „საქართველოს განთავისუფლების ეროვნულმა კომიტეტმა“ შემოიღო და ანიჭებდა სამხედრო და სამოქალაქო პირებს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე, წევრები: ნესტორ მადალაშვილი, მშები ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, ზია ბეგ აბაშიძე, შალვა ვარდიძე და სხვ) ქართულ-გერმანული თანამშრომლობის შედეგად 1914 წლის შემოდგომაზე ევროპაში ჩამოყალიბდა. იგი გერმანიის სახელისუფლო წრეების მატერიალური და ფინანსური ხელშეწყობით საქართველოს სახელ-



მწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად იქნავთ გერმანიის დაფინანსებით ოსმალეთში შეიქმნა უცნობების სუფლების ეგიდით მოქმედი სამხედრო შენაერთიც, რომელსაც ქართული ლეგიონი ეწოდებოდა. მას სხვადასხვა დროს მეთაურობდნენ ლეო კერესელიძე, გრაფი შულენბურგი, ნესტორ მალალაშვილი, ფონ გალენი და სხვ. ლეგიონი 800-ს მებრძოლს მოითვლიდა. მას გააჩნდა საკუთარი დროშა და უნიფორმა.

სწორედ ლეგიონერთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისა და მორალური წახალისების მიზნით დაარსებულ იქნა ორდენი, რომელსაც დიდი ქართველი მეფის, თამარის სახელი უწოდეს. ვარსკვლავის ფორმის ორდენი თავიდან ორი სახისა იყო – პირველი და მეორე ხარისხის. მოგვიანებით შემოუღიათ მესამე ხარისხის ორდენიც. სამივე სინჯის ჯილდო ბერლინში მზადდებოდა.



ლოდ ერთი. თამარის მესამე ხარისხის ორდენს ძვირფასი ქვები არა აქვს და ვარსკვლავის სხივები გლუვი ვერცხლითაა დათრთვილული (უფრო ხშირად ამ ხარისხის ორდენი ბრინჯაოსაგან მზადდებოდა).

დაჯილდოებულ პირს ორდენთან ერთად მისი ტარების უფლების დამადასტურებული მოწმობაც ეძღვოდა, ხოლო ორდენის კავალერთა სია განთავისუფლების კომიტეტის განსაკუთრებულ წიგნში შექმნდათ.

ორდენის რვაქიმიანი ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულია მედალიონი თამარ მეფის მოქროვილი ვერცხლის პორტრეტით და ოქროთი მოვარაყებული წარწერით: „ქართული ლეგიონი. 1915“. პირველი ხარისხის ორდენის მედალლიონს გარს აკრაგს წერილი ბრილიანტის ორი წყება, მეორე ხარისხისას კი მხო-

„მოსაგონებლად იმ ქვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძლეთ ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოსახურისა გაწოდოთ სამსახურო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მკერდის მარცხენა მხარეზე



ქვემოთდან” – ასე წერია ნიკო ნიკოლაძის ორდენით დაჯილდოების მოწმობაში. დოკუმენტი დამოწმებულია ბეჭდით, დათარიღებულია და მოთითებულია მისი გაცემის ადგილიც: ბერლინი, 7 ივნისი, 1918 წ.“ „საქართველოს დამოუკადებლობის პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის“ სახელით მოწმობას ხელს აწერენ გორგა მაჩაბელი, გიორგა კერესელიძე, მელიტონ ქარცივაძე და მიხაელ წერეთელი.

სრულიად კანონ-
ზომიერია, რომ უაღრესად გამორჩეული და თავისი მნიშ-
ვნელობით განსაკუთრებული ქართული ორდენი ნიკო ნი-
კოლაძეს მიენიჭა. მან ეს ჯილდო ჰეშმარიტად დაიმსახუ-
რა, რადგან მთელი შეგნებული ცხოვრება ქართველი
ხალხის სამსახურს, საქართველოს ეროვნული თვითმყო-
ფადობის შენარჩუნებას, მისი თავისუფლებისა და ქა-
თილდფეობისათვის ბრძოლას შეალია.

აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის პრაქტიკული საქმიანობა და დგაწვე მის სიცოცხლეში ჯილდოთი ერთმა სოლიდურმა უწყებამაც დააფასა, სახელდობრ, ფოთი-თბილისის რეინიგზის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის ქართველ მოღვაწეს რუსეთის გზათ სამინისტროსაგან მიღებული პქნოდა „რეინიგზელის ოქროს



სამკერდე ნიშანი“ ეს ჯილდო მორალურთან ერთად მომზადება ტერიალურ მხარესაც შეიცავდა. მის მფლობელს სტატუსის ფარგლებში რეინიგზით უფასოდ მგზავრობის უფლება ეძღვდა. ნიკოს ხშირად უწევდა მოსკოვსა თუ პეტერბურგში მატარებლით ჩასვლა და ამ დამსახურებული შეღავათით სარგებლობდა კილეც, მაგრამ თამარის ორდენს დიდი ერისკაცისათვის სულ სხვა დატვირთვა, ნიბლი და ლირსება გააჩნდა.

დიპლომატიურ და პოლიტიკურ არენაზე

ნიკო ნიკოლაძე სტუდენტობიდან მოყოლებული რესეფ-
თისა და ევროპის რევოლუციურ მოღვაწეთა შორის ტრია-
ლებდა. იცნობდა სხვადასხვა ყაიდის სოციალურ, ეკონომი-
კურ და პოლიტიკურ მოძღვრებებს, მათ შორის რევოლუცი-
ურ-დემოკრატიულ, ნაროდნიკულ თუ ანარქისტულს თეორი-
ებს. პატივს სცემდა მათ ავტორთა ამა თუ იმ შეხედულე-
ბას, ზოგიერთთან თანამშრომლობდა კიდეც, თუმცა არც
ერთი მათგანის ნააზრევი ბოლომდე არ გაუზიარებია. მოგ-
ვანებით წერდა კიდეც: ის აზრები, რაც მაძინის დროს
(XIX ს. 40-50-იანი წლები) მოწინავედ მიიჩნეოდა, ახლა
„მცირდნი კავის თვალში უციკლიად ითვლება“.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ქართველ მოღვაწეს ხან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოწაფედ, ხან ნაროდნიკთა თანამოაზრედ, ხან კიდევ სოციალიზმის მიმდევრად მიიჩნევდა. სიმართლე არც ერთი ყოფილა. ნიკო ნიკოლაძეს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს ახასიათებდა სხვათა ნააზრების უკრიტიკოდ მიღება, თუნდაც აღიარებულ ავტორიტეტთა ბრძა და ზერელე მიმბადველობა. აკაეთ ბაქტაძის მართებული შენიშვნით, „მას არ სხვეოდა რაიმე მოძღვრების ან დებულების პირტმინდად უარყოფა ან ხელაღებით აბსოლუტურ ჰქემარიტებად გამოცხადება.“ არჩევანს იმით განსაზღვრავდა, გამოადგებოდა თუ არა მოცემული თეორია თავის ქვეყანას, ხელს შეუწყობდა თუ არა იგი ერთს ქვთილდებოდა და უკეთეს მომავალს. თავისივე სიტყვაბით,

მუდამ „ქართველობის სიკეთის ერთგული, ანგარიშიანი მწყემსი იყო,“ შეურიგებლად მტრობდა ყველა მიმართულებას, რომელიც „საქართველოს ქონებას სხვის, უცხოური თის მიზანს თუ საქმეს სწირავდა.“

ნიკო ნიკოლაძე ყოველ აზრს ეროვნული საზომით ზომავდა და იმის მიხედვით აფასებდა, პასუხობდა თუ არა ეს აზრი ცხოვრების სინამდვილის მოთხოვნას, რამდენად შესაძლებელი და სასარგებლო იყო მისი პრაქტიკული განხორციელება. ისე როგორც თერგდალეულთა მთელი თაობა, ნიკო ნიკოლაძეც „ცხოვრების ზედმიყოლების“, მემკვიდრეობითობის, თანამიმდევრული მოქმედების პრინციპს ემსრობოდა და იზირებდა. ამას ნიშნავს მისი გამონათქვამი „მეთანთანობითე“ ვიყავი და ამდევ კრჩებით, რაც მიზნის მისაღწევად ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივ, კვოლუციურ სვლას გულისხმობს.

XIX საუკუნის არც ერთ ქართველ სამოციანელს, ნიკო ნიკოლაძის გარდა, ჯიბეში რომელიმე პარტიის მანდატი არ სდებია. ნიკო ამ მხრივაც გამოირჩა. ისე კი ცხობილია შემდეგი ფაქტი:

1905-1906 წლებში ქართველმა საზოგადო მოდვაწეებმა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა გადაწყვიტეს. შედგა რამდენიმე შექრება, მომზადდა და სტამბურად გამოიცა მომავალი ორგანიზაციის წესდება და სხვ. ამ სამზადისში ჩართული იყო ნიკო ნიკოლაძეც, მაგრამ ილიას მკვლელობისა თუ სხვათა გამოდაწყებული საქმე ბოლომდე არ მისულა და იმსანად პარტია არ დაბრუნებულა. ერთს მამის პოლიტიკური ჩანაფიქრი მოგვიანებით განხორციელდა, როცა 1917 წლის ივნისში მოწვეულ ყრილობაზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თფიციალურად დაფუძნდა. ნიკო ნიკოლაძის მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში (პრეზული იყო პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ) განასახიერებდა თერგდალეულთა დიდი თაობის კავშირს ამ ახალ პოლიტიკურ დარაზმულობასთან.

ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, ნიკო ნიკოლაძე არ ყოფილა პარტიის უფრნეციო წევრი. იგი წვეული გა-



ტაცებით ჩაერთო პოლიტიკური ორგანიზაციის მუშავებული შიც და არა მხოლოდ კომპეტენტური რჩევა-დარიგებისთვისა არამედ პრაქტიკულ საქმეებში უშეალო მონაწილეობითაც მხარში ედგა ეროვნულ-დემოკრატია ახალგაზრდა ლიდერებს. შეიძლება ითქვას, რომ ნებ ნიკოლაძე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახე იყო.

თვითმპურობელობის დამხობამ რუსეთის იმპერიის კოლონიურ, განაპირა მხარეებში თავისუფლებისაკენ მისწრაფება გააძლიერა. ახლოვდებოდა საქართველოს ნანატრი დამოუკიდებლობაც, მაგრამ ქართველ ერს არ ჰყავდა მეთაური ორგანო, რომელიც ესოდენ აუცილებელი იყო ქვეყანაში შექმნილ ქაოტურ სიტუაციაში გზის გასაკვლევად. ამგვარი მიხია 1917 წლის ნოემბერში თბილისში მოწვეულ საქართველოს ეროვნულ კრილობას და ყრილობაზე არჩეულ ეროვნულ საბჭოს დაეკისრა.

ნიკო ნიკოლაძე სხენებული ეროვნული ფორუმის დადგარბად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარდა ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებამაც წარადგინა, როგორც ამ ქალაქის საპატიო მოქადაქე. ყრილობამ ქართველი სამოციანელი ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში აირჩია, საბჭომ კი თავის მხრივ ნიკო ნიკოლაძეს აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატობა მიანდო. მართალია, იმ პერიოდში სახელისუფლებო მმართველების სტრუქტურას ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატი და შემდგა ამიერკავკასიის სეიმი წარმოადგენდნენ, მაგრამ საქართველოს ფაქტობრივ მთავრობას დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნული საბჭო განასახიერებდა.

1917-1918 წლები უადრესად როული და სწრაფცვალებადი მოვლენებით აღინიშნა საქართველოს ცხოვრებაში. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბრესტის ზავით საბჭოთა რუსეთი პირველ მსოფლიო ომს გამოეთიშა და გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები დაუთმო. ამიერკავკასიის კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია, სსენებული მიწა-წყლის დაცვა ჯერ სამხედრო ძალებით სცადა, მაგრამ როცა ეერას გახდა, თურქთა ექსპანსიის შეჩერება დიპლომატიური გზით დააპირა. მოლაპარაკება

თავდაპირველად ტრაპიზონში, ხოლო 1918 წლის მარტში ბათუმში წარმოებდა. ქვეყნის მომავალი ახლა ბათუმში უკავშირდება და ნიკო ნიკოლაძეს აკაკი ჩხერიძესთან კრისტენი ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციაში გხედავთ, როგორც ქართველი ერის ოფიციალურ წარმომადგენელს. 75 წლის მოდგაწისათვის ბათუმის მოლაპარაკები დიპლომატიური დებიუტი იყო. მაგრამ, ამის მიუხედავად, „მისი ულევი მეხსიერება, ცოდნა ოსმალეთ-კავკასიის დამოკიდებულებებისა, მუსაიფის მჩქეფარე ნიჭი, ... წარმოსადევ შეხედულებასთან ერთად ... ძლიერ სასარგებლოდ პქმინდა მის უოფნას ბათუმშით”, გვიმოწმებს ზურაბ ავალიშვილი.


დიპლომატიურ ასპარეზზე ნიკო ნიკოლაძის პირველი ნაბიჯის საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანი წყარო იქნებოდა მისი მოგონება, რომლის წერა დღიურების სახით დაუწყია კიდევ სახელწოდებით „დელეგაციაში”, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ნაწილის – ორი დღის სურათის აღდგენა მოუსწრია.

ბათუმის მოლაპარაკებაზე, ოსმალთაგან დამოუკიდებლად, საქართველოსა და გერმანიის დელეგაციების დაახლოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ის, რაც თბილისში 26 მაისს აღსრულდა, არსებითად, ბათუმში დაიგეგმა და გადაწყდა. ამ ისტორიულ მოვლენაში უკანასკნელი თერგდალებულის დაწყლიც ერთობ საჩინოა. აღსანიშნავია, რომ მან შეადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი პროექტიც, რომელიც ბათუმში საგანგებოდ ჩასულ ნოე უორდანიას გადასცა.

ნიკო ნიკოლაძემ 1918 წლის 27-28 მაისს მონაწილეობა მიიღო გერმანიასა და საქართველოს შორის ფოთის დროებითი შეთანხმების გაფორმებაში, ხოლო შემდეგ ბერლინში გამართულ საქართველო-გერმანიის ორმხრივ მოლაპარაკებებში, რომლის მიზანსაც ჩვენი ქვეყანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება და გერმანიასთან ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულების დადება შეადგენდა.

უოთში მიღწეული შეთანხმება ორ ქვეყანას შეუტანას სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს დამისამდგომარეობის შესაბამისად აწესრიგებდა, ბერლინში კი ეს თანამშრომლობა უფრო სრულყოფილ სამართლებრივ ბაზაზე უნდა დაეფუძნებინათ. ქართულმა დელეგაციამ ნაყოფიერად იღვაწა. მომზადდა საქართველო-გერმანიის „სამეცნიერო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება“. გვერმანია „დე იურე“ აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და საფუძველი ეყრებოდა გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობას. თანამშრომლობის ეკონომიკურ სფეროსთან დაკავშირებული დოკუმენტები ძირითადად ნიკო ნიკოლაძის მიერ იყო შემუშავებული. 1918 წლის ოქტომბერში ნიკო სამშობლოში დაბრუნდა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში საქართველოს პარლამენტს ჩააბარა.

მხცოვანი მოღვაწის დიპლომატიური შესაძლებლობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ შედგომშიც არაერთხელ გამოიყენა. 1919 წლის დამდეგს ნიკო ნიკოლაძე ჩართული იყო პარიზის სამშეიდობო კონფერენციაზე გასაგზავნი საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში. მართალია, ამჯერად მისი გამგიაზვრება ეკროპაში ვერ მოხერხდა, რადგან მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ კონფერენციაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ კ. ჩხეიძესა და ი. წერეთელს დართო, მაგრამ, საარქივო დოკუმენტების თანახმად, ნიკო დელეგაციას დიდად შეეწია საჭირო მასალების მომზადებაში.




მოგვიანებით, 1920 წლის პარიზში, ნიკო ნიკოლაძეს მაინც მოუწია საზღვარგარეთ წასვლა. ახლა იგი დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მისიის წევრი იყო, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოებში საქართველოსათვის სესხის გამოძებნა ევალებოდა. მისია წარმატებული

ლი გამოდგა, მაგრამ ამასობაში საქართველოში ვითარებული ბა ძირებულად შეიცვალა. 1921 წლის თებერვალ-მარტი ბოლშევიკური რესენტის ძალმომრეობის შედეგად დამტკიცია რატიული რესპუბლიკა დაემხო, ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. ნიკო ნიკოლაძე უცხოეთში დარჩა და სამშობლოში მხოლოდ 1924 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა.

უკანასკნელმა თერგდალეულმა საგულისხმო კვალი დატოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საქანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობაშიც. ოთხორც ვნახეთ, 1917 წლის ნოემბერში ნიკო ნიკოლაძე არჩეული იყო წევრად ეროვნული საბჭოსი, რომელიც მომდევნო წლის ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა. 1919 წლის თებერვალში დიდმა ერისკაცმა საყოველთაო-სახალხო არჩევნების შედეგად საქართველოს დამფუძნებელი კრების მანდატი მოიპოვა და ახალი მოვალეობის შესრულებას შეუძგა. მართალია, იგი დეპუტატად მართველ პოლიტიკურ ძალასთან დაპირისპირებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით იყო არჩეული და ოპოზიციაში ვდგა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას, — მაგრამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობასთან თანამშრომლობასაც არ გაურბოდა. ეს მკაფიოდ ჩანს დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან წარმოთქმულ მის სიტყვებში, რომლებიც გამოირჩევა ღრმა ეროვნულ-სახელმწიფო ორგანიზაციი გააზრებით და აღსავსეა საქართველოს მომავლის რწმენითა და იმედით.

ნიკო ნიკოლაძე ნებისმიერი ცოცილიზებული ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ელტას დაამშვენებდა. ჩვენი დიდი თანამემამულის დაუშრებელ გონიებას, ნიჭს, უნარს, ცოდნასა და გამოცდილებას ბევრი სახელმწიფო უფრო გონივრულად, მიზანიმიართულად და ნაყოფიერად გამოიყენებდა, ვიდრე ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ან საბჭოთა საქართველოს მესვეურებმა შეძლეს.

უკანასკნელი თერგდაღეული 1928 წლის 1 აპრილს, 85 წლის ასაკში აღესრულა. პაატა ნაცვლიშვილის სიტყვით, „ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალებასთან ერთად გარდაიცვალა ჩვენი XIX საუკუნეების“ კომუნისტური ოფიციოზიც მიიჩნევდა, რომ „ნ. ნიკოლაძემ მოელი თავისი მუშაობის საუკეთესომ ხანა განვითარ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ოქტომბრის აღი მოედებოდა ჩვენი ცხოვრების ცის კიდურებს“. რადგან საბჭოთა რეჟიმი თავის წელთაღრიცხვას 1917 წლის ოქტომბრიდან იწყებდა, სიკვდილი წინა პერიოდის მოღვაწისა, ის თუნდაც დიდი ნიკო ნიკოლაძე ყოფილიყო, სათანადო გამომახილს ვერ პპოვებდა. ასეც მოხდა. საქართველოში გამომავალი ორიოდე გაზეთი, რომელიც ხელისუფლების სრულ კონტროლს ექვემდებარებოდა, რამდენიმე მოკლე სამგლოვიარო განცხადებისა და ფილიაპე მახარაძის ხელმოწერილი ნეკროლოგის გამოქვეყნებით შემოიფარგლა.





ნიკო ნიკოლაძე საქართველოში ბოლშევიკური რევოლუციური მოსახლეობის დამყარებამდე რომ გარდაცვლილიყო, ყოველგვარის ჭოჭმანის გარეშე მას სამუდამო განსახვენებელს მთაწმინდაზე მიუჩენდნენ. რუსეთის სამპერიო ხელისუფლება ამგვარ საკითხებში აქტიურად არ ერვოდა, კავკასიის აღმინისტრაცია კი სახოგადოებრივ აზრსა და განწყობას არაერთხელ გაუხდია იძულებული წასულიყო საკუთარი სურვილის წინააღმდეგ. ასე იქნებოდა ნიკოლაძის შემთხვევაშიც, რადგან მთავარმართებელი თუ მეფისნაცვალი ვერ გაბედავდა წინ აღდგომოდა ქართველი ერის ურუკე ნებას.

ქვეყნის სათავეში კომუნისტების მოხვლის შემდეგ კითარება ძირულად შეიცვალა. საქართველო საბჭოური მმპერიის ნაწილი გახდა, ხოლო საბჭოთა კავშირში, რომელიც არსით ტოტალიტარული სახელმწიფო იყო, ყველაფერი მოსკოვში, კრემლის კაბინეტებში წყდებოდა.

საქართველოს ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში იყვნენ აღამინანები, რომელთაც ნიკო ნიკოლაძისათვის მთაწმინდა არ ემცენებოდათ (ზოგი პანთეონში ადგილს თავისთვისაც უფრთხილდებოდა). თბილისმა დამოუკიდებლად ვერ გადაწყვიტა, სად დაეკრძალათ დვაწლმოსილი და სამშობლოს წინაშე გამორჩეული დამსახურების მოღვაწე. ამ საკითხშიც მთავარი კრემლის მმრბანებლის ნება იყო, სხვის აზრსა და შეხედულებას წონა არ გააჩნდა. რუსულან ნიკოლაძის მოგონების თანახმად, ნიკოს დაკრძალვასთან დაკავშირებით ბოლო სიტყვა სწორედ ი. სტალინმა თქვა. მოსკოვიდან სერგო ორჯონიქიძის დეპუტატი მოვიდა სტალინის განკარგულებით: „მთაწმინდაზე დაკრძალეთ აკაკის გვერდითო“.

ნიკო ნიკოლაძემ უკვდავება თავისი დიდი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, — გაუხუნარი შემოქმედებით, პრაქტიკული საქმეებით მოიპოვა. მისი ადგილი სწორედ მამა დავითის წმინდა მიწა იყო და ქართველმა ხალხმაც იგი აქტეკქ გააცილა საბოლოო გზაზე.

უკანასკნელი თერგდალეული მთაწმინდის პანთეონში დაიკრძალა.

ნიკო ნიკოლაძემ „უდიდესი მემკვიდრეობა დატოვა თავისი ნააზრევისა და პუბლიკაციების სახით. მისი შემოქმედება არსებული სინამდვილის უბაღლო აღქმაზე, ერისა და ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა სიღრმისეულ ანალიზზე, დიდ ცოდნასა და მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ნიკოს ვრცელი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხოლოდ ნახევარი თუ ჩაეტია დღემდე გამოცემულ მის თხზულებათა 9 მოსწრდილ ტოში. ამდენივე, თუ მეტი არა, ჯერაც გამოუქვეყნებელია. რამდენი ბრძნული მოსაზრება, რჩევა თუ შეგონება აქვს გამოთქმული, დღესაც რომ პაერივით გვჭირდება, ქვეყანას რომ სულს მოათქმევინებს, წელში გამართავს, გააძლიერებს და განამტკიცებს. სახელოვანი მამულიშვილის მემკვიდრეობა ის ღრმა და ფასდაუდებელი საუნჯეა, რომელშიც ყველა დროის გონიერი ქართველი იძოვის მისთვის საჭირო და სასარგებლო მარცვალს. მთავარია ყური მიუვადოთ, მოვუსმინოთ, ვენდოთ.

„ჩემი ნაწერები დროს გაჰყვაო“, — წერდა დიდი მოდვაწე და მოაზროვნე ცხოვრების მიმწერს, მაგრამ საკუთარი შემოქმედების ნიკო ნიკოლაძისეული ეს თავმდაბლური შეფასება სწორი არ არის. დაკირვებული და „აბლოით მჩხრეელი“ მკითხველი უკანასკნელი თერგდალეჭლის ნააზრევში ახლაც და მომავალშიც ბევრ რამეს საგულისხმოსა და მნიშვნელოვანს აღმოაჩენს. ამაში დასარწმუნებლად საქმარისია გავეცნოთ თუნდაც ქვემოთ ციტირებულ ნიკო ნიკოლაძის ფრაზების მოკლე ამონარიდს:

— „ადამიანმა წარსულს პატივი უნდა სცეს. ხსოვნა შეინახოს, დააფასოს. ... მხოლოდ უგუნური ერისთვის არა აქვს ისტორიას ფასი. ისტორია არის დიდი გაკვეთილი, მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ხალხმა წარსულით იცხოვოს. ... ცხოვრება მხოლოდ მომავალზე ფიქრითა და ოცნებით, ... მომავლისათვის შრომით შეიძლება“.

- „ქვეყანა ეკუთვნის ცოდნას, ჰქუას, იარაღს, ენერგიას“.
- „ძალა და ძლევა რიცხვს და სივრცეს კი არა, ცოდნას და ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს, დისციპლინას“.

- პროგრესი დამოკიდებულია მხოლოდ ხალხის ძალისა და შეგნების თანამიმდევრულ აღმავლობაზე“.

- „ერთ მაშინაა ბეჭინიერი, მისი მომავალი მაშინ გიგმართება სიკეთისაკენ, როცა მისი ბედი და საქმე მოწინავე პატიოსან და უანგარო ახალგაზრდობას აბარია. მათი ინტერესების იდეა საერთოა“.

- „განათლებულ ქვეყნებში, გონიერი ხალხი თავის დამრიგებელ და ზნის გამასწორებელს კი არ სდევნის და შეურაცხოფს, - თავის უპირველეს გმირების ტოლათ მაინც აფასებს, მეტათ თუ არა“.

- „ყველაზე კარგ მმართველად ის ითვლება, ვისაც სხვათა ყურისგდება შეუძლია და მერე საერთო, უმრავლესობისათვის მისაღები დასკვნის გამოტანა“.

- „როგორი მეთაური გვეყოლება არჩეული, ისეთიც მსვლელობა ექნება ჩვენს საერთო საქმეს, და ისეთივე პატივი გველირსება მეზობლებისა და უცხოელებისაგან“.

- „ვერავითარი ცენტურა, ვერავითარი ჩაგვრა ვერ დააბრკოლებს მწერალს, გამოთქვას ამა თუ იმ ფორმით ის, რისი თქმაც უნდა“.

- „პრესის დათრგუნვა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აღმოფხვრილია ცხოვრებიდან ჩვენთვის უსიამოვნო მოვლენები“.

- „აუცილებელია კრიტიკული მიდგომა ყველა წარმოწყებისადმი, თუ ჩვენთვის ნამდვილად ძვირფასია ეს საქმე“.

- „ყოველი პარტია უნდა ცდილობდეს, თავის რიგებში მიიზიდოს ისეთი ადამიანები, რომლებითაც ამაყობს და კვლავაც იამაყებს მთელი ერი“.

- „ჩვენს დროში, მთელი კაცობრიობის აზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკვლია“.

- „ესმის თუ არა ვინმეს, რომ არჩევნები მეტისმეტად სერიოზული საქმეა, რომ არჩევა ამორჩეულებს გარ-

კვეულ ვალდებულებებს აკისრებს, რისგანაც თვისებულებები რჩეველი არ არიან თავისუფალი? ... ყოველმა ამომრჩეველმა საზოგადოებამ თავის უმაღლეს მიზნად უნდა მიიჩნიოს ისეთი პიროვნებების არჩევა, რომელთა გამო შემდგამ გაწითლება არ მოუხდება“.

— „მთელი ჩვენი მამული, სიკეთე და მომავალი ამაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა ეხლა არჩევანის საქმეს ის სიმაღლე, ის სიწმინდე და ღირსება მივცეთ, ურომლისოდ საზოგადოებრივი ცხოვრება დამხობისკენ გაქანდება“.

— „კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავის ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომაზე და ღონებეჲ უნდა პქონდეს დაფუძნებული“.

— „მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა “რწმუნების დაკარგვამ” წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებათ იხატებოდა. ... უცხოელთა შემოსევების გარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლეურა“.

— „მარტო ჩვენის თავის იმედი ვიქონიოთ, ... ჩვენს ძალას მივენდოთ ... ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ. მაშინ მეგობარიც ბეჭრი გაუწნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“.

— „რა გზაც ხუთს, ექვსს, ან ოცს ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი ხალხი ერთის გადახტომით ვერ გაივლის“.

— „ჩვენში ზოგიერთს ყმაწყილთაგანს პგრია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდება“.

— „აზრების სიუხვეს, შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვათ ვთვლით, ვდევნით; გვარნია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა უველა ჩვენის ქვეყნის შვილები თვალახვეულად ერთს მოთავეს გაყვებიან. ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყობთ. განა ეს უბედურება არ არის?“.



კვეულ ვალდებულებებს აქისრებს, რისგანაც თვითონ მიმდინარე რჩეველი არ არიან თავისუფალი? ... ყოველმა პრომოტერ-ველმა საზოგადოებამ თავის უმაღლეს მიზნად უნდა მიიჩნიოს ისეთი პიროვნებების არჩევა, რომელთა გამო შემდეგში გაწითლება არ მოუხდება“.

— „მთელი ჩვენი მამული, სიკეთე და მომავალი ამაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა ეხდა არჩევანის საქმეს ის სიმაღლე, ის სიწმინდე და ლირსება მივცეთ, ურომლისოდ საზოგადოებრივი ცხოვრება დამხობისკენ გაქანდება“.

— „კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავის ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომაზე და ღონებულების უნდა ჰქონდეს დაფუძნებული“.

— „მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა “რწმუნების დაკარგვამ” წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებათ იხატებოდა. ... უცხოელთა შემოსევების გარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაახსეტა, დააუძლეურა“.

— „მარტო ჩვენის თავის იმედი ვიქონიოთ, ... ჩვენს ძალას მიენდოთ ... ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ. მაშინ მეგობარიც ბეჭრი გაუწნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“.

— „რა გზაც ხუთს, ექვსს, ან ოცს ხალხს თოხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი ხალხი ერთის გადახტომით ვერ გაივლის“.

— „ჩვენში ზოგიერთს ყმაწვილთაგანს პგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდება“.

— „აზრების სიუხვეს, შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვათ ვთვლით, ვდევნით; გვგონია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა ყველა ჩვენის ქვეყნის შვილები თვალახვეულად ერთს მოთავეს გაყვებიან. ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყობთ. განა ეს უბედურება არ არის?“.



გამომცემლობა „კნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. 3235ავტის გამზ. 1, ტე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

...ნისო ნიკოლაეპეს მივიყებალი დადგვილად არ ეთმოს. გასხა გავიტი დაცირილა და აღასაც იცარება, გადატაბალია დოკუმენტის ფილმები, გამოსახულია და ჰელზ გამოიღის მისი სახერთვა. ნიკოლაეპის სახელი მისათვებალი ჯპს საქართველოს არაერთი ქალაქის ქაჩას, თაილისსა და დიდი აისაიშვილი არსებობს მისი სახლ-მუზეუმისი, ფოთიში მონახულების ქადგას და სხვა, მგრძამ რამდენად იყორჩს თანამედროვე თაობას ამ დოდეანისას, რა სხვებია და გუგია მის გვახვა? ამ საკითხები დაგვაცილება...



არავის ჩარჩოები, თუ გვივისალ-ის ციცელი ჩვენს მოსახულე და სტაციონარულგანაზორებულ გოლო ფორმას აკად მომზადებულებას ნიჭილ რჩებას და ისტორიის დასალიშვილის სახელში ასახული არა მარტინ ასახულის გარეშე არავის გვახვა... ამ დოდეანისას, რა სხვებია და გუგია მის გვახვა? ამ საკითხები დაგვაცილება...

ISBN 978-9941-17-147-5

9 789941 171475